
სოციალური უფლებების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი

პროექტის ავტორები:

ვახტანგ ნაცვლიშვილი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი

ლინა ლვინიანიძე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

კონსტანტინე ერისთავი, ადამიანის უფლებათა თეორიის მკვლევარი

ნინო ქაშაყაშვილი, კონსტიტუციური სამართლის მკვლევარი

პროექტის ინიციატორები:

ვახტანგ ნაცვლიშვილი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი

ვახტანგ მენაბდე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი

შინაარსი

საქართველოს კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ 3

I ნაწილი, პროექტის ზოგადი დასაბუთება 6

1. შესავალი 6

2. სოციალური უფლებები საქართველოში 6

3. არგუმენტები სოციალური უფლებების წინააღმდეგ 9

4. ფილოსოფიური დასაბუთება 11

5. რატომ კონსტიტუციონალიზაცია? 13

6. რატომ განსჯადობა? 13

7. სასამართლოების მიერ შემუშავებული სტანდარტები 14

8. განსჯადობის სამი მოდელი 20

II ნაწილი, პროექტის მუხლობრივი დასაბუთება 22

1. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი 22

2. საცხოვრებლის უფლება 23

3. შრომისა და უმუშევრობისგან დაცვის უფლება 32

პროექტი

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, № 31-33, 1995) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7.

1. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.
2. სახელმწიფო აღიარებს სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის მნიშვნელობას. სახელმწიფო იღებს ქმედით ზომებს სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრების მიზნით.“

მუხლი 2.

საქართველოს კონსტიტუციას (საქართველოს პარლამენტის უწყებები, № 31-33, 1995) დაემატოს 21-ე¹ მუხლი (საცხოვრებლის უფლება) შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21¹.

1. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის უფლებას ღირსეულ და სათანადო საცხოვრებელზე. მოქალაქეთა უსახლკარობის თავიდან აცილებისა და მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო იღებს გონივრულ ზომებს და შეიმუშავებს ქმედით პროგრამას.
2. საცხოვრებლის უფლების უზრუნველყოფისას სახელმწიფო ითვალისწინებს ბავშვების, ქალების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციალურ საჭიროებებს.
3. საცხოვრებლიდან იძულებითი გამოსახლება არის კანონმდებლობით განსაზღვრული უკიდურესი ზომა, რაც დასტურდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.“

მუხლი 3.

საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, № 31-33, 1995) 30-ე მუხლი (შრომისა და უმუშევრობისგან დაცვის უფლება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 30.

1. ყველას აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.
2. შრომა ემყარება სამართლიანი ანაზღაურების, ღირსეული სამუშაო პირობების, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნის, დასვენებისა და გონივრული სამუშაო დროის განსაზღვრის, თანასწორი მოპყრობის და დისკრიმინაციისაგან დაცვის, ანაზღაურებადი შვებულების, სამუშაოსგან თვითნებური და დაუსაბუთებელი გათავისუფლების აკრძალვის პრინციპებს. სახელმწიფო უზრუნველყოფს შრომის უფლების დაცვაზე ქმედით ზედამხედველობას. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ორგანული კანონით.
3. კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ქალების, ბავშვების, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ჯანმრთელობისათვის მავნე და სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში მომუშავე პირთა შრომის უფლების სპეციალური დაცვა.
4. კანონმდებლობით გათვალისწინებულია სამართლიანი საზღაური სამუშაოს შესრულებისას შექმნილი დაავადებების, მიღებული დაზიანებისა და გარდაცვალების შემთხვევაში.
5. სახელმწიფო შეიმუშავებს უმუშევრობის დაძლევის ქმედით პროგრამას და ხელს უწყობს მოქალაქეთა დასაქმებას.
6. სახელმწიფო უზრუნველყოფს არანებაყოფლობით უმუშევარი, შრომისუუნარო და მარჩენალდაკარგული პირების დაცვას სოციალური მხარდაჭერის სისტემის შექმნის გზით. სოციალური დახმარების ოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ღირსეული არსებობისთვის საჭირო, სულ მცირე, მინიმალურ პირობებს.“

მუხლი 4.

საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, № 31-33, 1995) 33-ე მუხლი (შრომისა და უმუშევრობისგან დაცვის უფლება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 33.

1. ყველას აქვს უფლება, შრომითი ინტერესების დასაცავად შექმნას პროფესიული გაერთიანება და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.
2. კანონმდებლობით უზრუნველყოფილია პროფესიული გაერთიანების დამოუკიდებლობა სახელმწიფოს, პოლიტიკური გაერთიანებისა და დამსაქმებლის გავლენისგან.
3. სახელმწიფო ცნობს და იცავს გაფიცვის უფლებას, რომლის განხორციელების პირობები განისაზღვრება კანონით.“

მუხლი 5.

საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, № 31-33, 1995) 35-ე მუხლი (განათლების უფლება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 35.

1. ყველას აქვს განათლების ხელმისაწვდომობის, განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სახელმწიფო მხარს უჭერს მეცნიერების განვითარებას, ზრუნავს სწავლების ხარისხის ამაღლებაზე და უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზებას.
3. კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფო უზრუნველყოფს სკოლამდელ განათლებას. დაწყებითი და საბაზო განათლება საავალდებულოა. ზოგად განათლებას სრულად აფინანსებს სახელმწიფო, კანონით დადგენილი წესით.
4. მოქალაქეებს უფლება აქვთ, სახელმწიფო დაფინანსებით მიიღონ უმაღლესი და პროფესიული განათლება. სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი და პროფესიული განათლების სრულ სახელმწიფო დაფინანსებაზე ეტაპობრივ გადასვლას.
5. უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხელს უწყობს სტუდენტურ საცხოვრებელთა სისტემის განვითარებას.“

მუხლი 6.

საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, № 31-33, 1995) 94-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

I ნაწილი. პროექტის ზოგადი დასახულება

1. შესავალი

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში შეინიშნება სოციალური უფლებების განსჯადობის ახალი ტალღა. ამ მხრივ, გამოირჩევა სამხრეთ ამერიკის იურისდიქციები (კოლუმბია, ბოლივია, ბრაზილია, არგენტინა და სხვ.), სამხრეთ აფრიკის, ინდოეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სასამართლოები.

მისი მიზეზები განსხვავებულია: კოლონიალიზმის შედეგები ინდოეთში, აპართეიდის მემკვიდრეობა სამხრეთ აფრიკაში, სამხედრო რეჟიმები სამხრეთ ამერიკაში, ასევე საბჭოთა კავშირის დაშლითა და ლიბერალურ საბაზრო მოდელზე გადასვლით გამოწვეული სოციალური უთანასწორობები და სიღარიბე პოსტსაბჭოთა სივრცეში.

რა თქმა უნდა, ვერ გავიწყვეთ იმ ფაქტს, რომ ამ ტალღას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია სოციალურ უთანასწორობაზე. იმ ქვეყნებმა კი, რომლებიც დღეს გამოირჩევიან მსოფლიოში სოციალური უფლებების დაცვისა და სოციალური თანასწორობის კუთხით

(ჰოლანდია, საფრანგეთი, შვედეთი), ამ შედეგს, ძირითადად, განსჯადი სოციალური უფლებების გარეშე მიაღწიეს.

მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, ქართული კონტექსტისა და წინამდებარე ტექსტში მოყვანილი სოციალური უფლებების კონსტიტუციონალიზაციისა და განსჯადობის მხარდამჭერი არგუმენტების გათვალისწინებით, აუცილებელია საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი დებულებებით სოციალური უფლებების განმტკიცება, რაც, თავის მხრივ, მათი განსჯადობის წინაპირობა იქნება.

2. სოციალური უფლებები საქართველოში

სოციალური უფლებები საქართველოს
კონსტიტუციაში

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა მოქალაქეთა ურყევ ნებად აცხადებს სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი საქართველოს კონსტიტუციის მატერიალურ, სახელმწიფოს მიზნის დამდგენ პრინციპად უნდა მივიჩნიოთ.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სხვადასხვა განმარტება არსებობს: ფართო გაგებით, ის გულისხმობს სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის დაგეგმვაში, მართვასა და ორგანიზებაში. ამ მიდგომით, სოციალური სახელმწიფო აქტიურად ერევა სიმდიდრისა და რესურსების გადანაწილების პროცესში; პრინციპის ვიწრო გაგებაში მოიაზრება სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის არსებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ღირსეული სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომსახურების შეთავაზებითა და სოციალური ფულადი დახმარების გაცემით.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან ერთად, საქართველოს კონსტიტუცია რამდენიმე სოციალურ უფლებასაც შეიცავს: კონსტიტუციით აღიარებულია განათლების უფლება, რომლის ფარგლებშიც ზოგადი განათლების დაფინანსების ვალდებულებას სრულად იღებს სახელმწიფო (35-ე მუხლი); აღიარებულია ჯანმრთელ გარემოში ცხოვრებისა და, კანონით დადგენილი წესით, უფასო სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება (37-ე მუხლი); კონსტიტუცია სახელმწიფოს ავალდებულებს, ხელი შეუწყოს მოქალაქეს დასაქმებაში და, კანონით დადგენილი წესით, გასცეს საარსებო შემწეობა (32-ე მუხლი); კონსტიტუცია ასევე იცავს პროფესიული კავშირის შექმნის, მასში გაერთიანებისა (26-ე მუხლი) და გაფიცვის (33-ე

მუხლი) უფლებებს; ამასთან, კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლში მოცემულია სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულება სოციალური დაცვის სფეროში.

ამის მიუხედავად, საყოველთაოდ გაზიარებულია მოსაზრება, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი სოციალური უფლებების მწირ ჩამონათვალს შეიცავს. ვოჩეხ სადურსკი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალურ კონსტიტუციურ უფლებებს სწავლობდა, მიუთითებს, რომ ეს სიმწირე განსაკუთრებით თვალში საცემია სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების კონსტიტუციათა ფონზე. საქართველოს კონსტიტუციაში არ გხვდება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით დაცული ისეთი მნიშვნელოვანი სიკეთეები, როგორებიცაა, მაგალითად, საცხოვრისისა და სოციალური უსაფრთხოების უფლებები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სოციალურ უფლებებსა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან მიმართებით

სოციალური უფლებების მწირი ჩამონათვალის მიუხედავად, სოციალური უფლებების მიმართულებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, განსაკუთრებით, არსებობის პირველ ათწლეულში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სოციალურ უფლებებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან მიმართებით განიხილავს. ვეტერანთა შეღავათებთან დაკავშირებული ერთ-ერთი საქმის გადანწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს სოციალური დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელ დონეს. სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს მოქმედება, ამ მხრივ, სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს (N1/1/126, 129, 158); ამასთან, ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფის შესახებ საქმის გადანწყვეტილებაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ვალდებულებაზე, „შეარბილოს არასტაბილური ეკონომიკის მძიმე შედეგები“, და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, გადადგას ქმედითი, და არა ზედაპირული ხასიათის, ნაბიჯები ამ მიმართულებით. ამავე გადანწყვეტილებაში სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს ვალდებულებებს სასიცოცხლოდ აუცილებელი სიკეთეების მიღების სფეროში იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც გადახდისუუნარონი არიან (N1/3/136).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა შრომის უფლებაზე, რომელიც სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან კავშირში განიხილავს. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუცია კრძალავს არა მხოლოდ იძულებით შრომას, არამედ იცავს ადამიანის

შრომით უფლებებს და არ უშვებს მათ თვითნებურ შეზღუდვას; შრომის უფლების შინაარსში სასამართლომ მოიაზრა უფლება, აირჩიო სამუშაო, ასევე უფლება, განახორციელო ეს სამუშაო ღირსეული პირობებით, დაცული იყო უმუშევრობისგან და „ისეთი რეგულირებისგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას“. სასამართლოს მითითებით, „შრომა, ერთი მხრივ, წარმოადგენს ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფის, ხოლო, მეორე მხრივ, პიროვნული თვითრეალიზაციისა და განვითარების საშუალებას“ (N2/2-389).

საგულისხმოა, რომ არსებობის მეორე ათწლეულში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სოციალური სახელმწიფოს პრინციპისა და სოციალური უფლებების განსჯისას შედარებით ნაკლებ აქტივისტურ მიდგომას იყენებს. სოციალური უფლებების განსჯადობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობამ თავი იჩინა სოციალური დახმარების შესახებ საქმეში. სადავო იყო სოციალური დახმარების შესახებ კანონის მუხლი, რომელიც კრძალავდა სოციალური დახმარების ოდენობის, შეფასების მეთოდოლოგიისა და სილატაკის დონის გასაჩივრებას სასამართლოში. სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური დახმარების უფლების განსჯადობის შესახებ მოსამართლეთა აზრი ორად გაიყო და, შესაბამისად, ამ უფლებებთან მიმართებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა (N1/2/434).

განსხვავებულ აზრში მოსამართლეებმა მიუთითეს, რომ სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს ფართო შეხედულების თავისუფლებას უტოვებს სოციალური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ არსებობს ორი უპირობო ვალდებულება: სოციალური უფლებების კანონმდებლობით აღიარება და, ადამიანის უუნარობის ან სიღარიბის შემთხვევაში, მისი საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა. მოსამართლეთა აზრით, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს არჩევანი არ აქვს და, შესაბამისად, ამ ვალდებულებაზე უარის თქმა სოციალური სახელმწიფოს პრინციპის დარღვევას ნიშნავს.

სოციალური უფლებები პოლიტიკურ დღის წესრიგში

საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაცია და სოციალური უფლებების დაცვა არ ყოფილა სახელმწიფოს გაცხადებული მიზანი. პირველ ათწლეულში ამ საკითხების უგულებელყოფა ჩამოუყალიბებელი, ჯერ კიდევ მყოფე სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობით მართლდებოდა; 2003 წლის შემდეგ კი სახელმწიფოს მთავარ მიზნად ლიბერალურ საბაზრო მოდელზე გადასვლა დასახელდა. განვითარების ამ ხედვაში ყურადღება არ დაეთმო სოციალური სახელმწიფოს პრინციპს და იმ ვალდებულებებს, რომლებიც სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფოს აქვს. სახელმწიფო ინსტიტუტებში არსებულ

კორუფციაზე მითითებით, ნაცვლად მათი რეფორმირებისა, სრულად გაუქმდა სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმები, მაგალითად, შრომის ინსპექცია.

ბოლო წლებში განხორციელებულმა პრივატიზაციისა და დერეგულაციის შედეგებმა სადინარი საპროტესტო და საგაფიცვო გამოსვლებში პოვა. ქვეყანაში არსებული ენდემური სიღარიბის მიუხედავად, სოციალური საკითხები პოლიტიკური დღის წესრიგის პერიფერიული თემაა. სოციალური უფლებების კონსტიტუციონალიზება ამ სფეროში მნიშვნელოვან პოლიტიკურ დისკუსიებს წაახალისებს, სხვა მნიშვნელოვან სიკეთეთა დაცვასთან ერთად.

3. არგუმენტები სოციალური უფლებების წინააღმდეგ

სოციალური უფლებების წინააღმდეგ რამდენიმე არგუმენტი მოჰყავთ:

1. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, სოციალური უფლებები არ მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულებას, უკვე 70 წელია, რაც

საერთაშორისო სამართლის იურისტები არ იზიარებენ, ისევე, როგორც, მიუხედავად მრავალი ავტორის სკეპტიციზმისა, თითქმის უნივერსალური შეთანხმება არსებობს ფილოსოფოსებს შორის, რომ სოციალური უფლებები ნამდვილად ადამიანის უფლებების სახეობაა. (ფილოსოფიურ არგუმენტაციაზე IV თავში ვისაუბრებთ);

2. გავრცელებული არგუმენტის თანახმად, სოციალური უფლებები პოზიტიური, ხოლო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ნეგატიური უფლებებია. უპირატესობა კი, ამ არგუმენტის თანახმად, სწორედ ნეგატიურ უფლებებს უნდა მიენიჭოთ. უკვე ბევრი დაწერილა და თქმულა, თუ როგორ გულისხმობს სოციალური უფლებებიც და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებიც ორივე – პოზიტიური და ნეგატიური – ტიპის უფლებებს. მაგალითად, სამართლიანი სასამართლოს უფლება ვერ იქნება დაცული, თუ სახელმწიფო არ იმოქმედებს პოზიტიურად და არ შექმნის ქმედით სასამართლო სისტემას, ისევე, როგორც უფლება საცხოვრისზე რეალიზდება სახელმწიფოს უმოქმედობით, თავი შეიკავოს ადამიანების გამოსახლებისგან. (VIII თავში განვიხილავთ სამი ტიპის ვალდებულებას, რომელიც სახელმწიფოს აქვს სოციალური უფლებების შესრულების მიმართულებით, რომელთაგან სოციალური უფლებების პატივისცემა სწორედ ნეგატიური უფლებაა, ხოლო განხორციელება – პოზიტიური);

3. ამ არგუმენტთან დაკავშირებულია ასევე მოსაზრება, რომ სოციალური უფლებების რეალიზება დამოკიდებულია სახელმწიფოს ხელში არსებულ რესურსებზე, ხოლო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელება ხარჯს არ მოითხოვს. ამიტომ ამ ორი ჯგუფის უფლებებს შორის იერარქია ბუნებრივია; ასევე, ვინაიდან სახელმწიფო რესურსების განაწილება საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივაა, სასამართლომ არ უნდა განსაჯოს სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა ამ არგუმენტის მომხრეებს ავიწყდებათ, რომ, ზოგ შემთხვევაში, სოციალური უფლებების უზრუნველყოფა ხარჯის გარეშეც არის შესაძლებელი (მაგალითად კვლავ გამოსახლებისგან თავის შეკავება შეიძლება მოვიყვანოთ), ისევე, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელება ხშირად სწორედ რომ მატერიალურ რესურსებთანაა დაკავშირებული. იგივე სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება სახელმწიფოსგან საკმაოდ ძვირადღირებული სასამართლო სისტემის უზრუნველყოფას მოითხოვს;

4. ასევე ამბობენ, რომ სასამართლოს, სოციალური უფლებებიდან და სასამართლოს ინსტიტუციური სტრუქტურიდან გამომდინარე, არ ძალუძს სოციალური უფლებების განსჯა. ეს არგუმენტი ყველაზე ადვილად გასაბათილებელია. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო თუ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული სასამართლოები უკვე დიდი ხანია,

იხილავენ სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ სარჩელებს. (ამ სასამართლო პრაქტიკაზე, ძირითადად, VIII თავში ვისაუბრებთ);

5. კიდევ ერთი გავრცელებული არგუმენტის თანახმად, სოციალური უფლებების განსჯადობა ეწინააღმდეგება ძალაუფლების დანაწილების პრინციპს. თუმცა ეს არგუმენტი წრიული ლოგიკის ნიშნებს ავლენს, ვინაიდან, როგორც წესი, მისი მომხრეები წინასწარ ძალაუფლების დანაწილების პრინციპის ისეთ ფორმულირებას გვთავაზობენ, რომ გამოირიცხოს სოციალური უფლებების განსჯადობა;

6. შემდეგი ერთი-ერთი არგუმენტი, სოციალური უფლებების შინაარსისა და სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებების დადგენის კუთხით, ამ უფლებების ბუნდოვანებაზე მიუთითებს. აქაც სხვადასხვა იურისდიქციის მაგალითზე შესაძლებელია ამ არგუმენტის გაბათილება. VIII თავში ვისაუბრებთ, თუ რა მექანიზმები შეიმუშავეს სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო სასამართლოებმა სოციალური უფლებების, ერთი შეხედვით, ბუნდოვანი შინაარსისა და სახელმწიფოს ვალდებულებების განსასაზღვრავად.

აქვე უნდა ითქვას, რომ თუმცა ლეგიტიმური კითხვები სოციალური უფლებების განსჯადობასთან მიმართებით ნამდვილად არსებობს, იმავე კომპეტენციისა თუ

დემოკრატიული მანდატის მიმართულებით, ეს ვერ იქნება სოციალური უფლებების განსჯადობაზე უარის თქმის მიზეზი. საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლოებს გააზრებული აქვთ ინსტიტუციური ლიმიტები და სწორედ ამ ლიმიტების გათვალისწინებით ცდილობენ, ადეკვატურად განსაზღვრონ განსჯადობის მასშტაბი. ეს სიფრთხილვე თვალსაჩინო ხდება სოციალური უფლებებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად სასამართლოების მიერ შემუშავებული მექანიზმებისა და განსჯადობის მოდელების განალოზების შედეგად, რასაც VIII და IX თავები დაეთმობა.

4. ფილოსოფიური დასაბუთება

ამ თავში გამოვეყოფთ რამდენიმე ფილოსოფიურ არგუმენტს, რომლებიც სოციალურ უფლებებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მსგავს პრიორიტეტულობასა და გადაუდებელ ხასიათს ანიჭებს:

1. ერთი გავრცელებული არგუმენტი ადამიანის ღირსების ცნებაზეა დაფუძნებული. როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო

დეკლარაციაში ვკითხულობთ, „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.“ მიუხედავად იმისა, რომ სოციალური უფლებების საერთაშორისო აღიარება დიდი ხნით ჩამორჩა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აღიარებას, ფილოსოფოსები სავსებით მართებულად თვლიან, რომ ადეკვატური საცხოვრისი, ჯანდაცვა, განათლება და სოციალური დაცვა ადამიანის ღირსეული ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ელემენტებია (დვორკინი, დონელი);

2. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც სოციალურ უფლებებს ამართლებს, ეფუძნება ერთმანეთის მსგავს ისეთ იდეებს, როგორებიცაა: ავტონომიურობა, შესაძლებლობები (capabilities), დომინაციისგან თავისუფლება და ა.შ. ამ შემთხვევაში თავისუფლება გაგებულია როგორც შესაძლებლობა და უნარი, დამოუკიდებლად, სხვისი ჩარევის გარეშე აირჩიო და გაუძღვე იმ ცხოვრებას, რომელიც კარგ ცხოვრებად მიგაჩნია. სოციალური უფლებების დაცვა ამ მიდგომისთვის თავისუფლების რეალიზების აუცილებელი წინაპირობაა. გამოჩენილი ფილოსოფოსები: ჯონ როულსი, ჯოზეფ რაზი, ამარტია სენი და მარტა ნუსბაუმი ამ შეხედულების თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან;

3. წამყვანი ფილოსოფიური მიდგომები: სამოქალაქო რესპუბლიკანიზმი, სოციალური მოქალაქეობა და დელიბერაციული

დემოკრატია სოციალურ უფლებებს ადამიანის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევენ.

მხოლოდ ადამიანების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში, მათი, როგორც მოქალაქეების, მონაწილეობა საჯარო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უზრუნველყოფს პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და მთლიანად სამართლებრივი სისტემის ლეგიტიმურობას. თავისუფლება გაგებულია როგორც თვითმართველობა, როგორც სამოქალაქო აქტივობა საჯარო სივრცეში. ეს არის თავისუფლების იდეა, რომელიც არ დაიყვანება კერძო სივრცის ხელშეუხებლობაზე. სოციალური უფლებების უზრუნველყოფის გარეშე ამგვარ ჩართულობასა და თანამონაწილეობაზე და, შესაბამისად, თავისუფლებაზე საუბარი შეუძლებელია.

გარდა ამისა, კონკრეტულად სოციალური მოქალაქეობის თეორია, რომელიც ცნობილმა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა თ. ჰ. მარშალმა შეიმუშავა, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ ყველა მოქალაქეს თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირებაში და რომ სახელმწიფოს აქვს შესაბამისი საპასუხო ვალდებულება, თავისი მოქალაქეების მატერიალური დაცვა და დახმარება უზრუნველყოს;

4. კიდევ ერთი არგუმენტი სოციალური უფლებების მხარდასაჭერად მიუთითებს ადამიანის უფლებების განუყოფლობასა და ურთიერთდამოკიდებულებაზე. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა პირდაპირ დაკავშირებულია სოციალური უფლებების დაცვასთან. ერთი თაობის უფლებების ეფექტური განხორციელება აუცილებლობით გულისხმობს მეორე თაობის უფლებების დაკმაყოფილებას.

5. რატომ კონსტიტუციონალიზაცია?

მას შემდეგ, რაც ფილოსოფიურად გავემართლებთ სოციალური უფლებების ადამიანის უფლებების ოჯახისადმი კუთვნილებას, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა არგუმენტები არსებობს ამ უფლებების კონსტიტუციონალიზაციის მხარდასაჭერად.

ადამიანის უფლებების, მათ შორის, სოციალური უფლებების კონსტიტუციონალიზაცია გულისხმობს ამ უფლებებით განსაზღვრული ინტერესის სახელმწიფოებრივ აღიარებას. კონსტიტუციის საფუძველზე ხალხი აღიარებს სოციალური უფლებებით დაცულ ინტერესს და მისი უზრუნველყოფის აუცილებლობას.

კონსტიტუციის ტექსტში ამგვარი აღიარების არარსებობა ნიშნავს სოციალური უფლებების მეორეხარისხოვან უფლებებად მიჩნევას, რაც ზემოთ ჩამოთვლილი დამატებითი არგუმენტების უარყოფის ტოლფასია.

უფლებების კონსტიტუციონალიზაცია ასევე ემსახურება სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის გარკვეული დირექტივების მიცემას აღნიშნული უფლებების რეალიზების მიმართულებით და მოქმედებს როგორც ნორმატიული სტანდარტი ამ უფლებების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების კრიტიკისათვის.

ამ ორი ზოგადი ფუნქციის შესასრულებლად სოციალური უფლებების ზოგად დებულებებში მოხსენიება საკმარისი იქნება.

საქართველოს კონსტიტუცია უკვე ითვალისწინებს ამგვარ ზოგად აღიარებას.

6. რატომ განსჯადობა?

ჩვენი აზრით, სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მხოლოდ პრეამბულით აღიარებამ, სოციალური უფლებების ადეკვატური განწერის გარეშე, შესაძლოა, წარმოშვას იერარქიის განცდა სხვადასხვა სახის უფლებებს შორის, რაც უფლებების კონფლიქტის შემთხვევაში სოციალური უფლებების დაკნინების მიზეზი შეიძლება გახდეს და გამხდარა კიდევ. ვინაიდან ჩვენ ვთვლით, რომ ამგვარი

იერარქია უფლებებს შორის არ უნდა არსებობდეს და ასევე ვთვლით, რომ კონკრეტული სოციალური უფლებები კონსტიტუციაში განწესდა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მსგავსად სასამართლო განსჯადობას იმსახურებენ, გვსურს სოციალური უფლებების ადამიანის უფლებების ძირითადი დებულებებით განმტკიცება.

სოციალური უფლებების განსჯადობა მნიშვნელოვანია ასევე იმისთვის, რომ სასამართლო ხელისუფლებამ უფრო კონკრეტულად, ვიდრე ეს ზოგად დებულებებს ძალუძთ, განსაზღვროს სახელმწიფოს ვალდებულება სოციალური უფლებების რეალიზების კუთხით. სასამართლოში სოციალური უფლებების განსჯადობამ შესაძლებელია, სოციალური უფლებების რეალიზებისკენ მონოდებული ადმინისტრაციული და პოლიტიკური პროცესების ინიცირება მოახდინოს. მაგალითად, ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ გაერთიანებული სამეფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირებამ და სასამართლოების მიერ კონვენციით დაცული უფლებების შესახებ საქმედების განხილვამ ამ ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტების პრაქტიკაზე, ქმედითი სტანდარტების დანერგვის კუთხით, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

განსჯადი სოციალური უფლებები ისევე შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ბარიერი

სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის სასამართლოს ძალით დასაცავად, როგორც სოციალური უფლებების რეალიზების მიმართულებით სახელმწიფოს პასიურობისა, მასზე დაკისრებული ვალდებულებების უგულებელყოფის გამოსავლენად და შესაბამისი დირექტივების შესამუშავებლად.

7. სასამართლოების მიერ შემუშავებული სტანდარტები

სოციალური უფლებების კონსტიტუციონალიზაციისა და განსჯადობის აუცილებლობის დადგენის შემდეგ პასუხი უნდა გავცეთ ზემოთ ხსენებულ ორი ტიპის სკეპტიციზმს, რომლებიც დაკავშირებულია: ერთი, სასამართლოების უნართან, განსაჯოს სოციალური უფლებები და, მეორე, თავად ამ უფლებების შინაარსის შესაძლო ბუნდოვანებასთან.

აღსანიშნავია, რომ კითხვები შინაარსისა და მოქმედების სფეროს ბუნდოვანების შესახებ ყველა ტიპის უფლებასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას, მათ შორის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მიმართ. ეს თავად სამართლებრივი დებულებების დამახასიათებელი ფართო და ზოგადი ფორმულირებიდან გამომდინარეობს.

თუმცა ამის გამო არავის ებადება აზრი, რომ პირველი თაობის უფლებების განსჯადობა ეჭვქვეშ დააყენოს. პირიქით, სახეზე გვაქვს სასამართლოებისა და სხვა ინსტიტუტების აქტიური მუშაობა ამ უფლებების განსასაზღვრავად. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური უფლებების განსჯადობის მიმართ სკეპტიციზმი ბევრ ქვეყანაში უფრო მითს ეფუძნება, ვიდრე სოციალური უფლებების რეალურ ბუნებას. სამწუხაროდ, ამ სკეპტიციზმს პრაქტიკული შედეგები აქვს და ვლინდება სასამართლოების პასიურობით, შეიმუშაონ და განავითარონ სოციალური უფლებების განსჯადობისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმები.

თუმცა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა თუ საერთაშორისო სასამართლოებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ამ მიმართულებითაც. ამ თავში მიმოხილულია სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ შემუშავებული სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც ეს სასამართლოები ადგენენ სოციალური უფლებების შინაარსს, მათ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ მხარეს და პასუხისმგებლობის ფორმებს.

ვისაუბრებთ სასამართლოების მიერ გამოყენებულ შემდეგ სტანდარტებზე:

- სოციალური უფლებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მყისიერი ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება სახელმწიფოს;

- სახელმწიფოს მიერ სოციალური უფლებების პროგრესული რეალიზების ვალდებულება და რეგრესული ზომების აკრძალვის სტანდარტები;
- სოციალური უფლებების მინიმალური შინაარსის (ბირთვის; minimum core/minimum content) ან მინიმალური ვალდებულებების სტანდარტი;
- „გონივრულობის“, „ადეკვატურობისა“ და „პროპორციულობის“ სტანდარტები, რომელთაც სასამართლო იყენებს სახელმწიფოს ქმედებისა თუ უმოქმედობის შეფასებისას;
- განსხვავება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური უფლებების პატივისცემის, დაცვისა და უზრუნველყოფის/შესრულების (fulfill) ვალდებულებებს შორის.

პროგრესული რეალიზაცია და მყისიერი ეფექტის მქონე ვალდებულებები

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი აკისრებს სახელმწიფოებს როგორც მყისიერი ეფექტის მქონე ვალდებულებებს, ასევე უფლებების პროგრესული რეალიზების ვალდებულებას.

ერთი ვალდებულება, რომელიც პაქტითაა გათვალისწინებული და რომელსაც მყისიერი ეფექტი აქვს, არის პაქტით აღებული ვალდებულებების „ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“ შესრულება.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ უფლებების პროგრესული უზრუნველყოფა არ გულისხმობს კონკრეტული უფლების მყისიერ რეალიზებას, პაქტის მიხედვით, როგორც განმარტებულია ზოგად კომენტარებში, სახელმწიფო ვალდებულია, „გადადგას ნაბიჯები“ და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები პაქტით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების მიმართულებით. ამასთან, „ეს ღონისძიებები უნდა იყოს გააზრებული, კონკრეტული და პაქტით აღიარებული ვალდებულებების შესრულებაზე მკაფიოდ ორიენტირებული.“

ეს ვალდებულება, სოციალური უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთს სახელმწიფოს აკისრებს. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა აჩვენოს, რომ ის უფლებების პროგრესული რეალიზებისთვის გააზრებულ, კონკრეტულ და რეალიზებაზე მკაფიოდ ორიენტირებულ ნაბიჯებს დგამს.

გარდა ამისა, სახელმწიფოს ეკრძალება, გადადგას რეგრესული ნაბიჯები უფლებების რეალიზების კუთხით. თუმცა პაქტში არსებული ეს აკრძალვა არ არის აბსოლუტური. კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებული უფლებების დაცვის გაუარესების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, დაასაბუთოს და გაამართლოს ამგვარი ნაბიჯები.

კონკრეტულ მაგალითებს რაც შეეხება, რეგრესული კანონმდებლობის აკრძალვის

პუნქტი გამოიყენა პორტუგალიის საკონსტიტუციო ტრიბუნალმა. საქმე ეხებოდა კანონს, რომელიც სოციალური დახმარების მიმღების მინიმალურ ასაკს ზრდიდა 18-იდან 25 წლამდე. ტრიბუნალმა დაადგინა, რომ, ვინაიდან ეს კანონი აუარესებდა სოციალური უფლების მფლობელის მდგომარეობას, ის არაკონსტიტუციური იყო; ასევე, ბელგიის საარბიტრაჟო სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიის კონსტიტუციის 23-ე მუხლს, რომელიც იცავს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, აქვს „უძრაობის ეფექტი“ („Standstill effect“), რაც კრძალავს მნიშვნელოვან რეგრესს ამ უფლებებთან მიმართებით.

თუმცა ცხადია, რომ პროგრესული რეალიზების მოთხოვნა ფართო დისკრეციას უტოვებს სახელმწიფოს უფლებების რეალიზების კუთხით და მწირ მინიშნებებს აძლევს სასამართლოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსასაზღვრავად, იქნება ეს პროგრესული, რეალიზებისთვის სათანადო ნაბიჯების ნაკლებობის მხრივ, თუ რეგრესული, კანონმდებლობის იდენტიფიკაციის კუთხით.

მინიმალური შინაარსის ცნება

ერთი გავრცელებული კონცეპტი, რომელიც ეხმარება სასამართლოებს, უკეთ განსაზღვრონ სახელმწიფოს ვალდებულებები სოციალურ უფლებებთან მიმართებით, არის სოციალური უფლებების მინიმალური/ძირითადი შინაარსის

(მინიმალური/ძირითადი ვალდებულების) ცნება.

მინიმალური შინაარსის ცნება გვხვდება თავად გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში სახელმწიფოების ვალდებულებების ბუნების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ:

„ყველა მონაწილე სახელმწიფოს ეკისრება მინიმალური ძირითადი ვალდებულება – მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოს თითოეული უფლების განხორციელება... პაქტი, როგორც დოკუმენტი, ასეთი მინიმალური ვალდებულებების შესრულების საშუალებას რომ არ იძლეოდეს, იგი, გარკვეულწილად, დაკარგავდა თავის *raison d'être* (არსებობის მნიშვნელობას)“. (ზოგადი კომენტარი N3).

რა თქმა უნდა, მინიმალური ვალდებულების შინაარსი არ არის უცვლელი. ის შეიძლება, განსხვავდებოდეს სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე. მაგალითად, ჯანმრთელობის უფლების რეალიზებისათვის აუცილებელი მინიმალური შინაარსი შეიძლება დამოკიდებული იყოს ტექნოლოგიურ განვითარებაზე. თუმცა, ამავე დროს, ზოგიერთ სოციალურ უფლებასთან მიმართებით არსებობს ზოგადი კონსენსუსი, თუ რა არის სახელმწიფოს მინიმალური ვალდებულება. მაგალითად, განათლების უფლების

მინიმალური შინაარსის შესახებ არსებული ამგვარი კონსენსუსის თანახმად, სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს უნივერსალური, უფასო და სავალდებულო დანყებითი განათლება.

კონკრეტულ მაგალითებზე რომ გადავიდეთ, გერმანიის ფედერაციის სასამართლოები სოციალური უფლების მინიმალური შინაარსის (Existenzminimum) განსასაზღვრავად იყენებენ გერმანიის ფედერაციის კონსტიტუციაში არსებულ სოციალური სახელმწიფოს პრინციპსა და ადამიანის ღირსების იდეას. გერმანული სასამართლოები მიიჩნევენ, რომ ეს კონსტიტუციური პრინციპები შესაძლებელია, გადაითარგმნოს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაში, უზრუნველყოს „ექსისტენციური მინიმუმი“, ანუ უზრუნველყოს არა მხოლოდ ადამიანის ფიზიკური არსებობა, არამედ ღირსეული სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობები, რაც მოიცავს საკვებზე, საცხოვრისსა და სოციალურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობას;

ანალოგიურად, შვეიცარიის სასამართლომ ჩათვალა, რომ მას შეუძლია, სახელმწიფოსგან მოითხოვოს საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა, როგორც საკუთარი მოქალაქეებისთვის, ისე უცხოელებისთვის. (Federal Court, V. v. Einwohnergemeine X und Regierungsrat des Kanton Bern. (1995));

არგენტინის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციით გარანტირებული ჯანდაცვის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საბაზისო სამედიცინო დახმარება (Reynoso, Nida Noemí c/ INSSJP s/amparo (2006)), ისევე, როგორც ბრაზილიის სასამართლოებმა ჩათვალეს, რომ უფლება განათლებაზე გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვებისა და საბავშვო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და რომ ეს საკითხი არ ეხება ადმინისტრაციული დისკრეციის სფეროს. (Brazilian Federal Supreme Court (Supremo Tribunal Federal), RE 436996/SP (2005)).

მინიმალური შინაარსის ცნების ეფექტურობა გულისხმობს იმას, რომ ის აკონკრეტებს პროგრესული რეალიზების ვალდებულების შინაარსს. მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ მისი სოციალური უფლების მინიმალური შინაარსი არ არის დაცული, სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ მან გადადგა შესაბამისი ნაბიჯები და გაატარა შესაბამისი ღონისძიებები მის ხელში არსებული რესურსების ფარგლებში არსებული უფლების პროგრესიული რეალიზებისათვის.

თავად სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესაფასებლად სასამართლოები ხშირად იყენებენ ისეთ სტანდარტებს, როგორებიცაა: „გონივრულობა“, „ადეკვატურობა“ და „პროპორციულობა“.

„გონივრულობის“, „ადეკვატურობისა“ და „პროპორციულობის“ სტანდარტები

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა არგენტინის ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციას სავალდებულო მინიმალური სამედიცინო დაზღვევის სქემიდან გაფანტული სკლეროზის მკურნალობის ამოღების შესახებ, არგენტინის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯანმრთელობის სამინისტრომ ვერ წარმოადგინა ამგვარი გადაწყვეტილების გონივრული დასაბუთება. (Asociación de Esclerosis Múltiple de Salta c. Ministerio de Salud – Estado Nacional s/acción de amparo-medida cautelar (2003));

ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა პროპორციულობის სტანდარტი საკანონმდებლო აქტის არაკონსტიტუციურად გამოსაცხადებლად (Constitutional Court of the Czech Republic, Pl. US 42/04, 2006). კანონის თანახმად, საპენსიო სისტემის პოტენციურ ბენეფიციარს ორწლიანი ვადა ეძლეოდა იმისთვის, რომ მოეთხოვა პენსია ბენეფიციარის კმაყოფაზე მყოფი ბავშვის სარჩენად. სასამართლომ ჩათვალა, რომ, მართალია, სახელმწიფოს აქვს უფლება, განსაზღვროს სოციალური უსაფრთხოების (public social security) ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის, დაანესოს ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის დაყენების ვადები, ამ შემთხვევაში იმავე მიზნის მიღწევა სახელმწიფოს შეეძლო

სხვა გზით. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული რეგულაცია არაპროპორციული და არაადეკვატური იყო ფუნდამენტური უფლების დაცვის ინტერესთან მიმართებით;

სამხრეთ აფრიკის იურისპრუდენცია ცნობილია გონივრულობის სტანდარტის შემუშავებისა და დახვეწის კუთხით. ცნობილ Grootboom-ის საქმეში სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლო იხილავდა ხელისუფლების პოლიტიკის კონსტიტუციურობას საცხოვრისთან მიმართებით (The Government of the Republic of South Africa and others v. Irene Grootboom and others, 2001). სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციაზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ყველას უფლება საცხოვრისზე და რომ ამ მიმართულებით სახელმწიფომ უნდა იზრუნოს შემდეგზე: განახორციელოს გონივრული საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები, იზრუნოს ამ ვალდებულების პროგრესულად შესრულებაზე და გამოიყენოს თავის ხელთ არსებული რესურსები.

გატარებული ღონისძიებების გონივრულობაში, სასამართლოს აზრით, იგულისხმება, რომ სახელმწიფო ვალდებულია, სულ მცირე, უსახლკარობის პრობლემის გადაჭრის გეგმა ჰქონდეს. სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა გრძელვადიანი გეგმა ამ უფლების რეალიზებისთვის, თუმცა არ ჰქონდა გეგმა, თუ როგორ გადაეჭრა უსახლკაროდ დარჩენილების დროებითი საცხოვრისით

უზრუნველყოფის პრობლემა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო სახელმწიფოს პოლიტიკა საცხოვრისზე უფლებასთან მიმართებით.

სოციალური უფლებების პატივისცემა, დაცვა და განხორციელება

კიდევ ერთი სტრატეგია, რომელსაც სასამართლოები იყენებენ სახელმწიფოს ვალდებულებების შინაარსის დასადგენად, არის ამ ვალდებულებათა დიფერენციაცია. ამგვარი დიფერენციაცია გვხვდება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში (და მასტრისის სახელმძღვანელოში), სადაც ჩამოთვლილია სახელმწიფოს ისეთი ვალდებულებები, როგორებიცაა: სოციალური უფლებების პატივისცემა, დაცვა და შესრულება.

სოციალური უფლებების პატივისცემაში მოიაზრება სახელმწიფოს ვალდებულება, არ ჩაერიოს ადამიანის მიერ კონკრეტული უფლების რეალიზებაში. აქ იგულისხმება სიტუაციები, როდესაც ადამიანს უკვე აქვს წვდომა საკვებზე, საცხოვრისზე, სამუშაო ადგილზე, შემოსავალზე, ჯანდაცვაზე და ა.შ. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, არ დაუშვას სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან აღნიშნული სიკეთეებით სარგებლობის შემზღვევა და ამ ვალდებულების დარღვევისას გაიღოს შესაბამისი კომპენსაცია. არსებული

უფლების პატივისცემის საკითხის განსჯადობასა და სასამართლო პრაქტიკაზე ზევით ვისაუბრეთ, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან რეგრესული ნაბიჯების დაუშვებლობას შევხებით.

რამდენიმე საქმეში გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს საგადასახადო სისტემამ არ უნდა შეზღუდოს ადამიანის „საარსებო მინიმუმი“, რომელიც მას სჭირდება ღირსეული სიცოცხლისთვის. შესაბამისად, კანონმდებელმა პატივი უნდა სცეს არსებობისათვის აუცილებელ მინიმალურ საშუალებებს და არ აქვს უფლება, დააკისროს ადამიანს გადასახადები, რომლებიც ხელყოფს ამ საშუალებებს.

სოციალური უფლებების დაცვის ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სოციალური უფლებების დაცვას მესამე მხარის ხელყოფისგან. აქ ფოკუსი მოქცეულია სახელმწიფოს ქმედებაზე, რომელმაც თავიდან უნდა აიცილოს, შეაჩეროს ან პასუხისგებაში მისცეს უფლების დამრღვევი (მაგალითად: დამსაქმებელი, ლენდლორდი, განათლების ან ჯანდაცვის პროვაიდერი და ა.შ.);

ერთ-ერთ საქმეში (SERAC and CESR v. Nigeria) ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკულმა კომისიამ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა ოგონის ხალხის ტრადიციული საარსებო საშუალებები ნავთობის კომპანიისგან, რომელმაც ბუნებრივი რესურსების დაბინძურებით გაანადგურა ისინი.

სოციალური უფლების განხორციელების (ხელშეწყობა და უზრუნველყოფა) მიმართულებით, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს სოციალური უფლებების რეალიზაცია. ზემოთ განხილული Grootboom-ის საქმე სამხრეთ აფრიკიდან სახელმწიფოს ამ ვალდებულებაზე სასამართლოს შეხედულებების კარგი მაგალითია;

ასევე, ერთ-ერთ საქმეში (International Association Autism-Europe v. France, (2003)) სოციალური უფლებების ევროპულმა კომიტეტმა მიიჩნია, რომ საფრანგეთის მთავრობის მიერ შემუშავებული ზომები აუტიზმით დაავადებულ პირთა დახმარებისა და განათლების მიმართულებით არასაკმარისი იყო და ვერ აკმაყოფილებდა ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს.

8. განსჯადობის სამი მოდელი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური უფლებების განსჯადობასთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოების კომპეტენციასა და დემოკრატიულ მანდატთან დაკავშირებული ლეგიტიმური კითხვები.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვასხვაოთ სოციალური უფლებების განსჯადობის სამი მოდელი: პერემპტორული (კატეგორიული), დეფერენციული (პატივისმცემელი) და დიალოგური:

სოციალური უფლებების განსჯის პერემპტორული მოდელი გულისხმობს სასამართლოს მიერ სოციალური უფლებების შინაარსისა და სახელმწიფოს ვალდებულების სრულად განსაზღვრას და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას, მაგალითად, კანონის არაკონსტიტუციურად გამოცხადებით;

დეფერენციული მოდელი პერემპტორულის საპირისპირო მოდელია, სადაც სასამართლო საკუთარი კომპეტენციის ლიმიტისა თუ დემოკრატიული პრინციპის გათვალისწინებით უარს ამბობს სოციალური უფლების განსჯაზე; მესამე, დიალოგური, მოდელი, ყველაზე კარგად პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ საფრთხეებს.

დიალოგური მოდელის გამოყენების დროს სასამართლო არც პირდაპირ წყვეტს სოციალური უფლებების აღსრულების საკითხს და არც უარს ამბობს ამ უფლებების განსჯაზე. სასამართლო უზრუნველყოფს დიალოგს მოსარჩევეებს, სხვა დაინტერესებულ მხარეებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის.

II ნაწილი. შემოთავაზებული მუხლების დასაბუთება

1. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი

„მუხლი 7.

1. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.
2. სახელმწიფო აღიარებს სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის მნიშვნელობას. სახელმწიფო იღებს ქმედით ზომებს სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრების მიზნით.“

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით განმტკიცებული სოციალური სახელმწიფოს იდეა ხშირად გაგებულია როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს საპირწონე.

სოციალური სახელმწიფო არეგულირებს სამართლებრივი სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი თავისუფლებების, განსაკუთრებით, საკუთრების უფლების გამოყენების შედეგებს და ახდენს სათანადო კომპენსაციას. სოციალური სახელმწიფოს მთავარი ზრუნვის ობიექტი სოციალურად სუსტი და გაჭირვებული ფენები და მათი განვითარებისთვის აუცილებელი შესაძლებლობების უზრუნველყოფაა.

შესაბამისად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს სოციალურ უსაფრთხოებას, ეკონომიკურ წონასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას.

კონსტიტუციით აღიარებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, დაინახოს საკუთარი როლი სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. ამ პრინციპის განვითარება დაკავშირებულია ადამიანის სოციალური უფლებების მნიშვნელობის გააზრებასთან.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კონსტიტუციითაა აღიარებული:

გერმანიის კონსტიტუცია, რომელმაც ისტორიაში პირველმა განამტკიცა ეს პრინციპი, მე-20 მუხლით ადგენს, რომ

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არის დემოკრატიული და სოციალური ფედერალური სახელმწიფო.“;

ანალოგიური ჩანაწერები გვხვდება სხვა კონსტიტუციებშიც:

ბულგარეთის კონსტიტუციის პრეამბულა მიუთითებს დემოკრატიულ და სოციალურ სახელმწიფოზე, როგორც ქვეყნის მიზანზე;

ესპანეთის კონსტიტუცია, მუხლი 1:

„ესპანეთი არის სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფო...“;

კოლუმბიის კონსტიტუცია, მუხლი 1:

„კოლუმბია არის სოციალური სახელმწიფო, კანონის უზენაესობის ფარგლებში; ტერიტორიული მონაცობის ფორმაა უნიტარული რესპუბლიკა, დეცენტრალიზებული, მისი ტერიტორიული ერთეულები ავტონომიურია, დემოკრატიული, მონაწილეობითი, და პლურალისტური, დაფუძნებული ადამიანის ღირსების პატივისცემაზე...“;

პოლონეთის კონსტიტუცია, მუხლი 2:

„პოლონეთის რესპუბლიკა არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ეფუძნება კანონის უზენაესობას და ახორციელებს სოციალური სამართლიანობის პრინციპების იმპლემენტაციას“;

რუმინეთის კონსტიტუცია, მუხლი 1:

„რუმინეთი არის დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფო, და ეფუძნება კანონის უზენაესობას, რომელშიც ადამიანის ღირსება, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, სამართლიანობა და პოლიტიკური პლურალიზმი უმაღლესი ღირებულებებია...“.

2. საცხოვრებლის უფლება

ადეკვატური საცხოვრისის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი 2016 წლის ანგარიშში ყურადღებას ამახვილებს საცხოვრებლის უფლების ადამიანის სიცოცხლის უფლებასთან მჭიდრო კავშირზე და მიუთითებს, რომ ადეკვატური საცხოვრებლის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხების გააზრება სწორედ სიცოცხლის უფლების ჭრილში უნდა მოხდეს. გარდა ხსენებულისა, საცხოვრებლის უფლების რეალიზაცია სხვა უფლებებთან კომბინაციაში უნდა იყოს განხილული. საცხოვრებლის უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ღირსებასა და

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპთან. ეს უფლება არის „წინაპირობა“ შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, განათლების უფლებით სარგებლობისათვის.

„მუხლი 211.

1. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის უფლებას ღირსეულ და სათანადო საცხოვრებელზე. მოქალაქეთა უსახლკარობის თავიდან აცილებისა და მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო იღებს გონივრულ ზომებს და შეიმუშავებს ქმედით პროგრამას.

2. საცხოვრებლის უფლების უზრუნველყოფისას სახელმწიფო ითვალისწინებს ბავშვების, ქალების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციალურ საჭიროებებს.“

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ადგენს, რომ „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას,

განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად მიიღებენ შესაბამის ზომებს, აღიარებენ რა, ამ მხრივ, თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას.“ (მე-11 მუხლი).

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა აღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებით შეიმუშავა ზოგადი კომენტარები, რაც ეროვნული სტრატეგიის განვითარების სახელმძღვანელო პრინციპებს აყალიბებს. კომიტეტის მითითებით, საცხოვრებლის უფლება საყოველთაო უფლებაა, რომელიც დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელდეს.

კომიტეტის განმარტებით, ადეკვატური საცხოვრებლის უფლების შინაარსი არ უთანაბრდება (თუმცა მოიცავს) თავშესაფრის უფლებას, არამედ გულისხმობს ნებისმიერ ადგილას „უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრებას“. ასეთი შინაარსი კი გამომდინარეობს შემდეგი ასპექტებიდან: (1) ადეკვატური საცხოვრებლის უფლება სისტემურად უნდა განიმარტოს პაქტის პრეამბულაში მითითებულ „ადამიანის განუყოფელ ღირსებასთან“ ერთად. ეს კი ნიშნავს,

რომ საცხოვრებლის ცნება მოიაზრებს ამ უფლების „ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოფას, მიუხედავად მათი შემოსავლისა თუ ეკონომიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა“;

(2) ასევე, პაქტით გათვალისწინებული საცხოვრებლის საკითხი გაგებული უნდა იქნეს სათანადო საცხოვრებლის თვალსაზრისით. კომიტეტის განმარტებით, საცხოვრებელთან მიმართებით სათანადოობის კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

2.1. საცხოვრებელი ფართის ფაქტობრივად სამართლებრივი უზრუნველყოფა – ეს კრიტერიუმი გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ პირის ან პირთა ჯგუფის საცხოვრებელ ფართზე ცხოვრების ფორმის მიუხედავად, უზრუნველყოფილი იყოს პირობები (გარკვეული ხარისხით), რომლებიც მათ აძლევთ სამართლებრივ ბერკეტებს ძალადობრივი გამოსახლების, დევნისა თუ სხვა საშიშროებების წინააღმდეგ. პროცესს კი თან უნდა ახლდეს დაინტერესებულ პირებსა და ჯგუფებთან კონსულტაციები;

2.2. მომსახურებაზე, მასალებზე, მონაცემებისა და ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა. ადეკვატური საცხოვრებელი მოიცავს

ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, კომფორტისა და კვებისათვის არსებით ხარისხზე ხელმისაწვდომობას. „სათანადო საცხოვრებლის ყველა მოსარგებლეს უნდა ჰქონდეს მდგრადი წვდომა ბუნებრივ და საერთო რესურსებზე, სასმელი წყლით მომარაგების სისტემაზე, სანიტარიულ და ჰიგიენურ პირობებზე, საკვები პროდუქტების შენახვაზე, ნარჩენების გადაყრაზე, კანალიზაციასა და გადაუდებელ მომსახურებაზე“;

2.3. რესურსებზე ხელმისაწვდომობა – ამ კომპონენტში კომიტეტი განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას, როგორც საცხოვრებლის მქონე პირებთან (ა), ასევე იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი საცხოვრებელზე (ბ): (ა) პირველ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული უნდა იყოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საბინაო ხარჯების შემოსავალთან შესაბამისობას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საბინაო ხარჯებმა საფრთხის წინაშე არ უნდა დააყენოს სხვა ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება; (ბ) მეორე ვითარებისათვის, სახელმწიფომ უნდა დაანესოს სუბსიდიები, დაფინანსების სხვადასხვა სქემა, რომლებიც „სათანადოდ ასახავენ საბინაო მოთხოვნებს“. იმ ქვეყნებში, სადაც

მშენებლობისათვის ბუნებრივი რესურსები გამოიყენება, სახელმწიფოებმა შესაბამისი ღონისძიებებით უნდა უზრუნველყონ მათი ხელმისაწვდომობა. ამ ჯგუფში მოიაზრება სახელმწიფოს ვალდებულება, იზრუნოს ბინის დამქირავებელთა არაგონივრული საბინაო ხარჯებისაგან დაცვაზე;

2.4. საცხოვრებლად ვარგისობა – ამ

კომპონენტის შინაარსი მოიცავს: სათანადო ფართს; ფიზიკურ უსაფრთხოებას; ასევე ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი ინფექციებისა და ისეთი ბუნებრივი საფრთხეებისგან დაცვას, როგორებიცაა: სიცივე, ნესტი, სიციხე, წვიმა, ქარი. ვარგისი საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად, კომიტეტის პერსპექტივით, გაზიარებული უნდა იყოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიდგომა, რომლის მიხედვითაც ბინა არის „ეკოლოგიური ფაქტორი“, იმდენად, რამდენადაც სამედიცინო-სანიტარიული პრინციპების დაუცველობა პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანთა სიკვდილიანობასა და დაავადებათა მაღალ მაჩვენებლებთან;

2.5. ხელმისაწვდომობა – ამ

კომპონენტში კომიტეტი გამოყოფს საცხოვრებლის უფლებით სარგებლობის მიმღებთა უპირველეს, პრიორიტეტულ ჯგუფებს: ხანდაზმულები, ბავშვები,

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სასიკვდილოდ დაავადებულნი, შიდსის ვირუსით დაავადებულნი, მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები, ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლნი, სტიქიის ზონაში მცხოვრები პირები, ასევე სხვადასხვა ჯგუფი; თავის მხრივ, მათი განსაკუთრებული მოთხოვნები გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საკანონმდებლო რეგულაციებით, ასევე შესაბამისი პოლიტიკით. სახელმწიფოთა ძირითადი მიზანი უნდა იყოს მინაზე წვდომის უზრუნველყოფა უღარიბესი ფენებისა და იმ პირებისათვის, რომელთაც იგი არ გააჩნიათ;

2.6. ადგილმდებარეობა –

საცხოვრებელი სახლი არ უნდა მდებარეობდეს დაბინძურებულ ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას; ასევე საცხოვრებლის ადგილმდებარეობა უნდა იძლეოდეს ადეკვატურ წვდომას დასაქმებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, სკოლებზე, ბავშვთა ზრუნვის ცენტრებსა და სხვა სოციალურ მომსახურებებზე;

2.7. კულტურული შესაბამისობა –

საცხოვრისების მშენებლობის განვითარებისა და მოდერნიზმის ტენდენციების ფონზე გათვალისწინებული უნდა იყოს

კულტურული იდენტობისა და ბინათმშენებლობის მრავალფეროვნება.

საცხოვრებლის უფლებას აქვს მრავალი განზომილება. საცხოვრებლის უფლების სამართლებრივი შინაარსი, კომიტეტის განმარტებით, მოიცავს: (1) დაგეგმილი გამოსახლების ან საცხოვრებლის დემონტაჟის შესახებ სასამართლოს აქტის გასაჩივრებას; (2) უკანონო გამოსახლებისათვის კომპენსაციის მიღების სამართლებრივი მექანიზმების უზრუნველყოფას; (3) მესაკუთრეთა ან მათი მხარდაჭერით განხორციელებული უკანონო ქმედებების გასაჩივრებას; (4) ღირსების მიხედვითი სახის დისკრიმინაციაზე, ბინაზე ხელმისაწვდომის თვალსაზრისით; (5) მესაკუთრეთა მიმართ გასაჩივრების შესაძლებლობას არაჯანსაღი და არასათანადო პირობების გამო.

რაც შეეხება „უსახლკარობის თავიდან აცილებას“, სახელმწიფოს მიერ „გონივრული ზომების“ მიღებასა და „ქმედითი პროგრამის“ შემუშავებას, ყველა სხვა სოციალურ უფლებათა მსგავსად, საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებითაც, კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფოს აქვს როგორც პროგრესული რეალიზების, ისე მყისიერი ეფექტის მქონე ვალდებულებები. მყისიერი ვალდებულებაა, რომ სახელმწიფომ

საცხოვრებლის უფლების სრული რეალიზებისკენ ადეკვატური ნაბიჯები გადადგას, მათ შორის: შეიმუშაოს სპეციალური კანონმდებლობა და სამოქმედო გეგმა. მყისიერი ეფექტი აქვს ასევე სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს საცხოვრებლის უფლების რეალიზება დისკრიმინაციის გარეშე და, გარკვეულ შემთხვევებში, აღკვეთოს იძულებითი გამოსახლება.

პაქტის გარდა, მე-2 პუნქტის პროექტით გათვალისწინებულ ჯგუფებს იცავს სხვა კონვენციებიც:

ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია:

„1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების დონეზე.

2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

3. მონაწილე სახელმწიფოები ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში მიმართავენ საჭირო ზომებს, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებს და ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში და, აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურ დახმარებას უწევენ და ხელს უწყობენ პროგრამებს, განსაკუთრებით კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებელი უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროგრამებს.“ (27-ე მუხლი).

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია:

„მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას სასოფლო რაიონებში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ მათი მონაწილეობა სასოფლო რაიონების განვითარებასა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლის მიღებაში, და, კერძოდ, ასეთ ქალებს უზრუნველყოფენ იმის უფლებით, რომ... სარგებლობდნენ ცხოვრების ჯეროვანი პირობებით, განსაკუთრებით საბინაო პირობებით, სანიტარიული მომსახურებით, ელექტრო- და წყალმომარაგების, ავრეთვე

ტრანსპორტით და კავშირგაბმულობის საშუალებებით.“ (მე-14.2 მუხლი).

კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ:

„იმდენად, რამდენადაც დაბინავება კანონმდებლობით რეგულირდება ან საჯარო ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, ხელშემკვრელი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს, ყოველ შემთხვევაში, იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში, ჩვეულებრივ, სარგებლობენ უცხოელები.“ (21-ე მუხლი).

მსოფლიოს კონსტიტუციები:

აზერბაიჯანის კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო უზრუნველყოფს დახმარებას საცხოვრებლების მშენებლობაში, იღებს სპეციალურ ზომებს საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის მიზნით“;

ესპანეთის კონსტიტუცია ადგენს, რომ „ყველა ესპანელს აქვს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ადგილით სარგებლობის უფლება. სახელმწიფო ორგანოები ხელს უწყობენ

ამისათვის აუცილებელი პირობების შექმნას, ადგენენ ამ უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის შესაბამის ნორმებს, ანესრიგებენ რა საერთო ინტერესებში მინის ნაკვეთით სარგებლობას, მათით სპეკულაციის თავიდან აცილების მიზნით.

მოსახლეობა მონაწილეობს ხარჯებში, რომლებიც საჭიროა საჯარო დანებს უფლებების საქმიანობის კეთილმოწყობისათვის“;

კოლუმბიის კონსტიტუციაც აღიარებს, რომ „კოლუმბიის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, იცხოვროს ღირსეულად. სახელმწიფო განსაზღვრავს ამ უფლებით სარგებლობისათვის აუცილებელ პირობებს და ხელს უწყობს საჯარო საცხოვრებლების გეგმების, გრძელვადიანი დაფინანსების სისტემების შემუშავებას და ამ საცხოვრისებთან დაკავშირებული პროგრამების აღსრულებას“;

ნიდერლანდის კონსტიტუციის 22-ე მუხლი განამტკიცებს, რომ „ხელისუფლების საზრუნავი უნდა იყოს საკმარისი საცხოვრებლით უზრუნველყოფა“;

საბერძნეთის კონსტიტუციაც ითვალისწინებს, რომ „სახელმწიფოს სპეციალური ზრუნვის საგანი უნდა იყოს

უსახლკაროთა და საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირთა საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა“;

სლოვენის კონსტიტუციის 78-ე მუხლი ადგენს, რომ „სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას შესაძლებლობები, რათა მოქალაქეებმა მიიღონ სათანადო საცხოვრებელი“;

სომხეთის კონსტიტუციის 86-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, ხელი შეუწყოს საცხოვრებლების მშენებლობას“;

პოლონეთის კონსტიტუციის 75-ე მუხლი ასე გამოიყურება:

„1. საჯარო ხელისუფლებამ უნდა წარმართოს პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების საჭიროებებს, უფრო კონკრეტულად, მიმართულია უსახლკარობასთან ბრძოლისაკენ, დაბალბიუჯეტიანი მშენებლობების განვითარების ხელშეწყობისაკენ და იმგვარი საქმიანობის მხარდაჭერისაკენ, რომელიც ყოველი მოქალაქის მიერ საცხოვრებლის შექმნას ისახავს მიზნად.

2. მოიჯარეთა უფლებების დაცვის საშუალებანი კანონით დგინდება“;

ყველაზე დიდ ადგილს საცხოვრებლის უფლებას კონსტიტუციაში პორტუგალია უთმობს:

„1. ყველას აქვს თავისთვის და თავისი ოჯახისთვის შესაბამისი საცხოვრებელი ფართის ქონის უფლება, რომელიც უზრუნველყოფს მათ სანიტარული და ცხოვრების ნორმალური პირობებით და იყავს პირადი და ოჯახური ცხოვრების საიდუმლოებას.

2. სახელმწიფო, რათა უზრუნველყოს საცხოვრებელი ბინის ფლობის უფლება, ვალდებულია:

ა) შეიმუშაოს პროგრამები და განახორციელოს საბინაო პოლიტიკა ურბანიზაციისა და ტერიტორიის საერთო გარდაქმნების გეგმების შესაბამისად, რამაც უნდა უზრუნველყოს სათანადო სატრანსპორტო ქსელისა და სოციალური ინფრასტრუქტურის არსებობა;

ბ) ავტონომიურ რეგიონებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით განავითაროს იაფი და სოციალური საცხოვრებლების მშენებლობა;

გ) სტიმული მისცეს კერძო მშენებლობას საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს საცხოვრებლის შექმნასა და დაქირავებას;

დ) განავითაროს და ხელი შეუწყოს ადგილობრივი საზოგადოებისა და

მოსახლეობის ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია შესაბამისი საცხოვრებელი პრობლემების მოგვარებისაკენ და გააფართოოს კოოპერატიული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა.

3. სახელმწიფო ატარებს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ოჯახების შემოსავლების შესაბამისი ქირავნობის სისტემის შემოღებისა და საკუთარი ბინის მიღებისათვის პირობების შექმნისაკენ..“ (65-ე მუხლი).

„მუხლი 211.

3. საცხოვრებლიდან იძულებითი გამოსახლება არის კანონმდებლობით განსაზღვრული უკიდურესი ზომა, რაც დასტურდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.“

კომიტეტის განმარტებით, საცხოვრებლის უფლება, გარდა პოზიტიური ვალდებულებისა, სახელმწიფოსათვის ნეგატიურ ვალდებულებასაც მოიცავს – იგი მოვალეა, უზრუნველყოს იმგვარი სამართლებრივი გარანტიები, რომ პირი დაცული იყოს იძულებითი გამოსახლებისგან, დევნისა და სხვა საშიშროებისგან. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს ტერმინოლოგიურ საკითხზე. უფრო კონკრეტულად, იგი მიუთითებს, რომ

„იძულებითი გამოსახლება“ პაქტის მიზნებისათვის ნიშნავს „ცალკეული პირების, ოჯახების და/ან საზოგადოების ჯგუფების საცხოვრებელიდან ან მიწებიდან მუდმივ ან დროებით გამოსახლებას მათი სურვილის გარეშე, შესაბამისი სამართლებრივი და სხვა სახის დაცვის ან ასეთ დაცვაზე ხელმისაწვდომობის გარეშე“. ამ ტერმინოლოგიის შინაარსი არ მოიცავს იმგვარ გამოსახლებას, რომელიც, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების, ასევე შიდა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით წარმართება. შესაბამისად, გამოსახლების იმგვარი ფორმები, როგორებიცაა, მაგალითად: კაშხლების მშენებლობა, ენერგეტიკული პროექტების განხორციელება, საცხოვრებელი ფონდის მოდერნიზაცია, მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და მსგავსი საკითხები, არ შეიცავს იძულებითი გამოსახლების შინაარსს. აქედან გამომდინარე, მსგავსი საფუძვლებით გამოსახლება საცხოვრებლის უფლების მიღმა რჩება. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ იძულებითი გამოსახლების ზემოხსენებული შინაარსის გადმოცემისათვის „უკანონო გამოსახლების“, „უსამართლო გამოსახლების“ ტერმინები ნაკლებად ადეკვატურია.

ადამიანის უფლებათა კომისიის მოსაზრებით, იძულებით გამოსახლება „ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევაა“, ხოლო ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ უფლებათა კომიტეტის შეფასებით, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ პაქტის მიზნებს ეწინააღმდეგება იძულებითი გამოსახლების განხორციელება. ამასთანავე, მაშინ, როდესაც პაქტის მიხედვით, სახელმწიფო, „მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით“, იღებს ზომებს „უფლებების პროგრესულად სრული რეალიზაციისათვის“, მსგავსი მიდგომა ვერ გავრცელდება იძულებით გამოსახლებაზე მისი ბუნებისა და პრაქტიკის მხედველობაში მიღებით. დამატებით, საკითხი უნდა განიმარტოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ჭრილში, კერძოდ, კომიტეტი მიუთითებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-17 მუხლზე, რომელიც შეიცავს უკანონო და თვითნებური ხელყოფისაგან საცხოვრებლის შეუვალობის გარანტიას. ამ არგუმენტების მიხედვით, სახელმწიფო უპირობოდაა შებოჭილი თვითნებური და დაუსაბუთებელი იძულებითი გამოსახლებისგან დაცვის ვალდებულებით, როგორც პრევენციული, ასევე რეპრესიული ასპექტით, ყოველგვარი დათქმის გარეშე.

იძულებითი გამოსახლების ამკრძალავი ეფექტური სისტემის შექმნის თვალსაზრისით, სახელმწიფოებმა მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ გამოსახლების პირობებზე. იძულებითი გამოსახლებისაგან განსაკუთრებული დაცვის სუბიექტების შორის კომიტეტი მიუთითებს ქალებზე, ბავშვებზე, მოხუცებზე, მკვიდრ მოსახლეობაზე, ეთნიკურ თუ სხვა უმცირესობებზე, ასევე სხვა დაუცველ პირებსა თუ ჯგუფებზე.

მსოფლიოს კონსტიტუციები:

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუციის 26-ე მუხლი ადგენს, რომ „არავინ შეიძლება გამოსახლდეს საცხოვრებელიდან, ან მოხდეს მისი სახლის დემონტაჟი, სასამართლოს მიერ ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით მიღებული ბრძანების გარეშე. კანონმდებლობამ უნდა გამოიყენოს თვითნებური გამოსახლების შესაძლებლობა“;

აზერბაიჯანის კონსტიტუცია კრძალავს საცხოვრებლის ჩამორთმევას: „არავის შეიძლება ჩამოერთვას თავისი საცხოვრებელი“. (43-ე მუხლი).

3. შრომისა და უმუშევრობისგან დაცვის უფლება

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული, შრომასთან დაკავშირებული, უფლებები შესაძლებელია, შემდეგ ჯგუფებად დავეყოთ: (1) დასაქმებასთან დაკავშირებული უფლებები (მაგალითად: იძულებითი და სავალდებულო შრომისაგან თავისუფლება; შრომის თავისუფლება; დასაქმების უფასო სამსახურების უფლება; დასაქმების უფლება; დასაქმების დაცვის უფლება; უმუშევრობისგან დაცვის უფლება); (2) შრომითი ურთიერთობებიდან მომდინარე (შედეგობრივი თვალსაზრისით) უფლებები და თავისუფლებები (მაგალითად: სამართლიანი შრომის პირობების უფლება, უსაფრთხო შრომის პირობები, სამართლიანი ანაზღაურების უფლება, პროფესიული სწავლების უფლებები, ქალებისა და ბავშვების დაცვის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება); (3) თანასწორად მოპყრობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კომპონენტი; (4) ინსტრუმენტული

ბუნების უფლებები (გაერთიანების თავისუფლება, გაფიცვის უფლება, მუშათა მიგრაციის თავისუფლება).

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის კომენტარებში განმარტებულია, რომ სახელმწიფოს მთავარი ვალდებულებაა, უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილ უფლებათა პროგრესული რეალიზება. გარდა პროგრესული რეალიზების ვალდებულებისა, სახელმწიფოს აქვს, ასევე, მყისიერი ვალდებულება, რომ შრომის უფლების რეალიზება მოხდეს დისკრიმინაციის გარეშე და ასევე მყისიერი ვალდებულება, რომ სახელმწიფომ გადადგას ნაბიჯები შრომის უფლების სრული რეალიზაციისთვის. ეს ნაბიჯები უნდა იყოს გონივრული, კონკრეტული და მიმართული უფლების სრული რეალიზაციისკენ. რეტროგრესული ნაბიჯების შემთხვევაში, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, გაამართლოს ამგვარი ნაბიჯები.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პროექტი

30-ე მუხლის პროექტით გათვალისწინებული სიკეთეები გარანტირებულია საქართველოსთვის სავალდებულო ხასიათის მქონე

სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით.

ქვემოთ გამოვყოფთ აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილ სიკეთეებს და მივუთითებთ შესაბამის

საერთაშორისოსამართლებრივ ინსტრუმენტებს, სადაც ამ სიკეთეების მნიშვნელობასა და უზრუნველყოფის ვალდებულებაზეა საუბარი; ასევე, მოვიყვანთ ამ უფლებების ფორმულირების მაგალითებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებიდან.

„მუხლი 30.

ყველას აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

5. სახელმწიფო შეიმუშავებს უმუშევრობის დაძლევის ქმედით პროგრამას და ხელს უწყობს მოქალაქეთა დასაქმებას.“

საერთაშორისო აქტები:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია წინამდებარე პუნქტის პროექტის მსგავს ფორმულირებას გვთავაზობს: „ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, სამართლიანი და ხელსაყრელი

პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება“ (23-ე 1მუხლი).

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი იცავს შრომისა და სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლებას: „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად.“

კომიტეტის მე-18 ზოგად კომენტარში კი ნათქვამია, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, „გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი ყველა ადამიანის უმუშევრობისგან დასაცავად“ (37-ე მუხლი). კომიტეტის კომენტარების თანახმად, სახელმწიფო ვალდებულებაში, დაიცვას შრომის უფლება, იგულისხმება, აგრეთვე, ვალდებულება, აღკვეთოს მესამე პირების მხრიდან იძულებითი და სავალდებულო შრომისგან თავისუფლების დარღვევა; არ დაუშვას პრივატიზაციის პოლიტიკის შედეგად მშრომელთა უფლებების დარღვევა; შრომის ბაზრის მოქნილობისთვის

გატარებული ღონისძიებებით არ დააზარალოს სამუშაო ადგილების სტაბილურობა ან მშრომელების სოციალური უსაფრთხოება. სახელმწიფოს ვალდებულებები უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით ასეთია: სახელმწიფო ვალდებულია, სხვა უფლებებთან ერთად, საკანონმდებლო დონეზე განამტკიცოს შრომის უფლება და შეიმუშაოს ეროვნული პოლიტიკა მისი რეალიზებისთვის; სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში კომპენსაციის მექანიზმები.

ასევე, პაქტის მე-6 მუხლი განმარტავს, რომ „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მისაღები ზომები უნდა შეიცავდეს პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და წვრთნის პროგრამებს, პოლიტიკასა და მეთოდოლოგიას, რათა მიღწეულ იქნეს განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება და სრული შედეგიანი დასაქმება ისეთ პირობებში, როგორშიც თითოეული ადამიანის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება დაცული იქნება.“

როგორც კომიტეტი განმარტავს, დასაქმების ხელშესაწყობად სახელმწიფომ უნდა გაატაროს

ლონისძიებები დასაქმების სააგენტოებისა და საგანმანათლებლო თუ ინფორმაციული პროგრამების შესაქმნელად საჯარო თუ კერძო სექტორში, ეროვნულ თუ ლოკალურ დონეზე.

მსოფლიოს კონსტიტუციები:

ესტონეთის კონსტიტუციის 29-ე მუხლი ადგენს, რომ: „ესტონეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ, თავისუფლად აირჩიონ სამუშაო, პროფესია და მუშაობის ადგილი“;

ლიტვის კონსტიტუციის 48-ე მუხლით ვი: „ყველა ადამიანს აქვს სამსახურისა და საქმიანობის თავისუფლად არჩევის... უფლება“;

პოლონეთის კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად, „ყველასათვის გარანტირებულია პროფესიის არჩევისა და განხორციელების, ასევე სამუშაო ადგილის არჩევის თავისუფლება“;

მსგავს ჩანაწერს შეიცავს სომხეთის კონსტიტუციაც: „ყველას აქვს შრომის თავისუფალი არჩევის უფლება“. (57-ე 1 მუხლი).

„მუხლი 30.

2. შრომა ემყარება სამართლიანი ანაზღაურების, ღირსეული სამუშაო პირობების, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს, დასვენებისა და გონივრული სამუშაო დროის განსაზღვრის, თანასწორი მოპყრობის და დისკრიმინაციისაგან დაცვის, ანაზღაურებადი შვებულების, სამუშაოსაგან თვითნებური და დაუსაბუთებელი გათავისუფლების აკრძალვის პრინციპებს. სახელმწიფო უზრუნველყოფს შრომის უფლების დაცვაზე ქმედით ზედამხედველობას.

4. კანონმდებლობით

გათვალისწინებულია სამართლიანი საზღაური სამუშაოს შესრულებისას შეძენილი დაავადებების, მიღებული დაზიანებისა და გარდაცვალების შემთხვევაში.“

საერთაშორისო აქტები:

30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პროექტში მითითებული სახელმწიფოს ვალდებულებები, უზრუნველყოს შრომის სამართლიანი ანაზღაურება, ღირსეული სამუშაო პირობები, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო, დასვენებისა და გონივრული სამუშაო დროის განსაზღვრა, თანასწორი მოპყრობა და დისკრიმინაციისაგან დაცვა და ანაზღაურებადი შვებულება,

განმტკიცებელია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით. ამ მუხლის თანახმად:

„სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეთ შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს:

ა) ანაზღაურებას, რომელიც ყველა მშრომელს უზრუნველყოფს, სულ მცირე:

i) სამართლიანი ხელფასითა და ტოლფასოვანი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურებით, რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, კერძოდ: ქალებისათვის ქმნის შრომის ისეთი პირობების გარანტიას, რომლებიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება, ასევე, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას.

ii) მას და მის ოჯახს ღირსეული არსებობის შესაძლებლობებით, წინამდებარე პაქტის დებულებათა შესაბამისად;

ბ) უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობებს;

გ) თითოეულისათვის უფრო მაღალ სამსახურებრივ საფეხურზე დანიშნულების თანაბარ შესაძლებლობას, მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად;

დ) დასვენების, თავისუფალი დროის ქონისა და სამუშაო საათების კონივრული შემზღვევის, აგრეთვე პერიოდული ანაზღაურებადი შვებულების შესაძლებლობას, ისევე, როგორც ანაზღაურებას საზოგადოებრივი უქმე დღეებისათვის“.

კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფოს მიერ უნდა განისაზღვროს ის მოქმედებები, რომლებიც დამსაქმებელმა უნდა განახორციელოს უბედური შემთხვევებისა და გარდაცვალების პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით; იგი ასევე უნდა მოიცავდეს დამსაქმებელთა მხრიდან შესაბამისი მონაცემების მიწოდების ვალდებულებას; უნდა გაინეროს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკის იმპლემენტაციის კოორდინაციას და ექნება მონიტორინგის მანდატი. ზედამხედველობის ეფექტურობისათვის უნდა შეგროვდეს ყველა შესაძლო ინფორმაცია სამსახურებრივი უბედური შემთხვევებისა და გარდაცვალებების შესახებ, მათ შორის იმ შემთხვევებზეც, რომლებიც სამსახურში ან სამსახურიდან მგზავრობის პერიოდს მოიცავს. კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს, რომ ინფორმაციის შეგროვების პროცესი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, მათ შორის დაცული უნდა იყოს ადამიანის

პერსონალური და სამედიცინო მონაცემები.

კომიტეტის თანახმად, არსებითია მონიტორინგისა და შემდგომში აღსრულების მექანიზმების არსებობა, რაც დარღვევის პროპორციულად ჯარიმებით შეიძლება გამოიხატოს. შედეგი ასევე შესაძლებელია იყოს არაუსაფრთხო დანესებულებების/სანარმოების საქმიანობის შეჩერება, ხოლო მომუშავეებს ტრავმის (რომლის თავიდან აცილებაც შეიძლებოდა) შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სამართლებრივი დავის წარმართვის შესაძლებლობა. კომიტეტის მოსაზრებით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაზარალებულმა მომუშავეებმა (ზოგიერთ შემთხვევაში მათ კმაყოფაზე მყოფმა პირებმა) მიიღონ „ადეკვატური კომპენსაცია, როგორც მკურნალობის ხარჯებისათვის, მიუღებელი შემოსავლისა და სხვა დანახარჯებისთვის, ასევე სარეაბილიტაციო მომსახურებისათვის.“ დაავადებული დასაქმებულებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფასიანი შვებულება, რათა მუშაკმა ჩაიტაროს მწვავე და ქრონიკული დაავადებების მკურნალობა და შემცირდეს თანამშრომლების ინფიცირების რისკი.

კომიტეტის მითითებით, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების კომპონენტი, რომელიც თითოეულისათვის უფრო მაღალ სამსახურებრივ საფეხურზე დანინაურების თანაბარ შესაძლებლობას გულისხმობს, ნიშნავს, რომ უნდა გამოირიცხოს პერსონალური, ოჯახის, პოლიტიკური თუ სოციალური კავშირების გავლენა. საჯარო სამსახურების შემთხვევაში კი განსაკუთრებით მაღალია სახელმწიფოსათვის დანესებული სტანდარტი, მაგალითად, „საჯარო სექტორში დანინაურების საკითხი უნდა იყოს დამოუკიდებელი ზედამხედველობის საგანი“.

დასვენების, თავისუფალი დროის ქონის, სამუშაო საათების გონივრული შეზღუდვის, პერიოდული ანაზღაურებადი შვებულების შესაძლებლობა, აგრეთვე ანაზღაურება საზოგადოებრივი უქმე დღეებისათვის მიუთითებს, რომ მომუშავეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, „შეინარჩუნონ შესაბამისი ბალანსი პროფესიულ, ოჯახურ და პერსონალურ პასუხისმგებლობებს შორის და თავიდან აიცილონ სამსახურთან დაკავშირებული სტრესი, უბედური შემთხვევები და გარდაცვალება“. კომიტეტის მოსაზრებით, მინიმალური სტანდარტი მოიცავს შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებას: ყოველდღიური

სამუშაო საათის შეზღუდვა (ძირითადად, რეასაათიანი ფარგლები), ყოველკვირეული მაქსიმალური სამუშაო საათების განსაზღვრა, ყოველდღიური დასვენების დრო („იმ შემთხვევებში, როდესაც მუშაკი მართავს განსაზღვრულ მექანიზმს ან მის საქმიანობას გავლენის მოხდენა შეუძლია მის ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს დასვენების სავალდებულო დრო“), ყოველკვირეული დასვენების პერიოდი, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება, საჯარო დასვენებების ანაზღაურება, სამუშაოს მოსახერხებელი განაწილება.

უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობების სტანდარტი განსაკუთრებით მიემართება სპეციალურ სუბიექტებს, როგორებიცაა: ქალები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დასაქმებულები, არაფორმალური ეკონომიკის მუშაკები, მიგრანტები, ოჯახში მომუშავეები, თვითდასაქმებულები, სოფლის მეურნეობაში მომუშავეები, ლტოლვილები, ანაზღაურების გარეშე მომუშავეები.

სამუშაოდან თვითნებური და დაუსაბუთებელი გათავისუფლების

აკრძალვა გათვალისწინებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციით. ეს კონვენცია ასევე განმარტავს, თუ რას მოიცავს გათავისუფლებისთვის დასაშვები დასაბუთება. სამუშაოდან თვითნებური და დაუსაბუთებელი გათავისუფლების აკრძალვაზე საუბარია კომიტეტის მიერ შემუშავებულ მე-18 ზოგად კომენტარშიც.

მსოფლიოს კონსტიტუციები:

ეს სიკეთეები განმტკიცებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციების მიერ.

არგენტინის კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად:

„შრომა, მისი სხვადასხვა ფორმით, კანონით არის დაცული, რაც დასაქმებულთათვის უნდა უზრუნველყოფდეს: შრომის ღირსეულ და სამართლიან პირობებს, შეზღუდულ სამუშაო საათებს, ანაზღაურებად დასვენებასა და შვებულებას, სამართლიან ანაზღაურებას, დადგენილ საცხოვრებელ მინიმუმს, თანასწორ ანაზღაურებას თანასწორი სამუშაოს შესრულებისთვის, სანარმოთა მოგებაში მონაწილეობას, წარმოებაზე კონტროლსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობას, თვითნებური გათავისუფლებისგან დაცვას,

სახელმწიფო მოსამსახურეთა
გარანტიებს, თავისუფალ და
დემოკრატიულ პროფკავშირულ
ორგანიზაციებს, რომელთა აღიარება
სპეციალურ რეესტრში უბრალო
რეგისტრაციის საფუძველზე
ხორციელდება“;

ბრაზილიის კონსტიტუციის მე-7 მუხლის
თანახმად:

„შრომითი ურთიერთობები დაცულია
თვითნებური და უსაფუძვლო
დათხოვნებისგან, რაც განისაზღვრება
დამატებითი კანონით, რომელიც ასევე
განსაზღვრავს კომპენსაციის მიღების
უფლებას“. (I პუნქტი).

„ანაზღაურებადი ყოველკვირეული
დასვენება უპირატესად კვირას“. (XV
პუნქტი).

„დისკრიმინაციის აკრძალვა
ანაზღაურებისა და სამუშაოზე მიღების
დროს ფიზიკური ნაკლის მქონე პირების
მიმართ“. (XXXI პუნქტი);

ლიტვის კონსტიტუციის 48-ე მუხლში
ვკითხულობთ: „ყველა ადამიანს აქვს
სამსახურისა და საქმიანობის
თავისუფლად არჩევის, ასევე შრომის
სათანადო, უსაფრთხო და ჯანმრთელი
პირობების, შრომის სამართლიანი
ანაზღაურებისა და უმუშევრობის
შემთხვევაში სოციალური
უზრუნველყოფის უფლება.“ 49-ე მუხლის
თანახმად კი, „ყოველ მშრომელს აქვს

დასვენების, თავისუფალი დროის,
ავრეთვე ყოველწლიური
ანაზღაურებადი შვებულების უფლება“;

პორტუგალიის კონსტიტუციის 59-ე
მუხლი ადგენს, რომ ყველას აქვს
უფლება, „მიიღოს ანაზღაურება
შრომითი სტაჟის, ხასიათისა და ხარისხის
შესაბამისად; ამასთან, დაცული უნდა
იყოს თანაბარი შრომისათვის თანაბარი
ანაზღაურების პრინციპი, რათა
უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული
მშრომელის ღირსეული დაცვა“;

სომხეთის კონსტიტუციის 57-ე მუხლი
ადგენს, რომ:

„2. ყველა დასაქმებულს აქვს
უსამართლო დათხოვნისგან დაცვის
უფლება. სამსახურიდან
გათავისუფლების საფუძვლები
განისაზღვრება კანონით.

3. აკრძალულია დედობასთან
დაკავშირებული მიზეზებით პირის
სამსახურიდან გათავისუფლება. ყველა
დასაქმებულ ქალს ორსულობისა და
მშობიარობის შემთხვევებში აქვს
ანაზღაურებადი შვებულების უფლება.
ყველა დასაქმებულ მშობელს, ბავშვის
დაბადების ან შვილად აყვანის
შემთხვევაში, აქვს შვებულების უფლება.
ღეტალებს განსაზღვრავს კანონი“

„მუხლი 30.

*3. კანონმდებლობით
უზრუნველყოფილია ქალების, ბავშვების,
მოხუცების, შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირების,
ჯანმრთელობისთვის მავნე და
სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში
მომუშავე პირთა შრომის უფლების
სპეციალური დაცვა.“*

საერთაშორისო აქტები:

*პუნქტში მითითებული ჯგუფების
უფლებების დაცვის კუთხით
სახელმწიფოს ვალდებულებები,
გადადგას ქმედითი ნაბიჯები,
გათვალისწინებულია სხვადასხვა
საერთაშორისო ხელშეკრულებაში.*

*კომიტეტის ზოგად კომენტარებში ხაზი
აქვს გასმული გენდერულ
დისკრიმინაციასთან ბრძოლისთვის
ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის
აუცილებლობას ეროვნულ დონეზე.
სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს
შრომის უფლებას, ამასთან, არ
შეზღუდოს თითოეული ადამიანის
თანაბარი წვდომა ღირსეულ სამუშაოზე,
განსაკუთრებით ისეთ არახელსაყრელ
პირობებში მყოფი და მარგინალიზებული
ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან:
პატიმრები, წინასწარ პატიმრობაში
მყოფნი, უმცირესობები და მიგრანტი
მშრომელები. სახელმწიფო*

*ვალდებულია, პატივი სცეს ქალებისა და
ახალგაზრდების უფლებას, ხელი
მიუწვდებოდეთ ღირსეულ სამუშაოზე.
შესაბამისად, სახელმწიფო
ვალდებულია, გაატაროს ღონისძიებები
დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და
თანაბარი შესაძლებლობების
უზრუნველსაყოფად. ზოგადი
კომენტარები განსაკუთრებულ
ყურადღებას ამახვილებს 16 წლამდე
ბავშვების შრომის აკრძალვაზეც.*

*პაქტის მე-7 მუხლის თანახმად,
სახელმწიფო „ქალებისათვის ქმნის
შრომის ისეთი პირობების გარანტიას,
რომელიც მამაკაცის შრომის პირობებზე
უარესი არ იქნება, და თანაბარი
შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების
მიღების შესაძლებლობას.“*

*კომენტარებში ასევე განმარტებულია,
რომ დისკრიმინაციისგან დაცვა
გულისხმობს სახელმწიფოს
ვალდებულებას, უზრუნველყოს,
ორსულობა არ იყოს დასაქმებისთვის
ბარიერი ან სამსახურიდან
გათავისუფლების მიზეზი.
მნიშვნელოვნად თვლის კომიტეტი
ქალებისთვის განათლებაზე
ხელმისაწვდომობას, რაც აუცილებელია
ადეკვატურ სამუშაოზე
ხელმისაწვდომობის კუთხით.*

თანასწორი მოპყრობა და დისკრიმინაციისაგან დაცვა კონკრეტულად ქალების მიმართ გათვალისწინებულია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ კონვენციაშიც.

ამ კონვენციის მე-11 მუხლი ასე გამოიყურება:

„1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას დასაქმების სფეროში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები, კერძოდ:

ა) შრომის უფლება, როგორც ყველა ადამიანის განუყოფელი უფლება;

ბ) სამუშაოზე დაქირავებისას თანაბარი შესაძლებლობის უფლება, მათ შორის დაქირავებისას შერჩევის ერთნაირი კრიტერიუმების გამოყენება;

გ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფალი არჩევის, თანამდებობრივი დანინაურებისა და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე სამუშაოს ყველა შეღავათისა და პირობების გამოყენების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების, მათ შორის მონაფეობის, გაზრდილი დონის პროფესიული მომზადებისა და რეგულარული გადამზადების უფლება;

დ) თანაბარი ანაზღაურების, მასთან, შეღავათების, თანაბარი ღირებულების შრომის მიმართ თანაბარი პირობების, აგრეთვე მუშაობის ხარისხის შეფასებისადმი თანაბარი მიდგომის უფლება;

ე) სოციალური უზრუნველყოფის უფლება, კერძოდ, პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, აგრეთვე ანაზღაურებადი შვებულების უფლება;

ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის თაობის გავრძელების ფუნქციის შენარჩუნების უფლება.

2. გათხოვების ან დედობის გამო ქალთა დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მათთვის შრომის ეფექტიანი უფლების გარანტირების მიზნით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა:

ა) სანქციების გამოყენების მექანიზმით აიკრძალოს სამუშაოდან დათხოვნა ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების საფუძველზე, ან დისკრიმინაცია დათხოვნის დროს ოჯახური მდგომარეობის გამო;

ბ) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, შეპირისპირებადი სოციალური დახმარების აღრიხდელი

სამუშაო ადგილის, უმცროს-უფროსობის
ან სოციალური დახმარების
დაუკარგავად;

გ) წახალისონ საჭირო დამატებითი
სოციალური მომსახურების განვლა, რათა
მშობლებს მიეცეთ ოჯახური
მოვალეობების შესრულების შრომით
საქმიანობასთან შეთავსებისა და
საზოგადოებრივ ცხოვრებაში
მონაწილეობის საშუალება, კერძოდ,
საბავშვო დაწესებულებების ქსელის
შექმნისა და გაფართოების გზით;

დ) უზრუნველყონ ქალთა
განსაკუთრებული დაცვა ორსულობის
პერიოდში იმ სახეობის სამუშაოებზე,
რომელთა მავნებლობა მათი
ჯანმრთელობისათვის დამტკიცებულია.“

საქართველოს მიერ რატიფიცირებული
კონვენცია „ბავშვთა შრომის უკიდურესი
ფორმების აკრძალვისა და
დაუყოვნებლივ აღმოფხვრის
ლონისძიებების შესახებ“ პირველსავე
მუხლში მიუთითებს, რომ „ყოველი წევრი
სახელმწიფო, რომელიც წინამდებარე
კონვენციის რატიფიცირებას ახდენს,
დაუყოვნებლივ მიიღებს ეფექტურ
ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ
ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების
აღმოფხვრას სასწრაფო წესით.“

რაც შეეხება შებლუდული
შესაძლებლობის მქონე პირებს, გაეროს

ეკონომიკური, სოციალური და
კულტურული უფლებების კომიტეტის
კომენტარებში ნათქვამია, რომ საერთო
დასაქმების ბაზარზე ჩართვისათვის
სახელმწიფო იმგვარ პოლიტიკის
ლონისძიებებს უნდა ატარებდეს,
რომლებიც უზრუნველყოფს ხელოვნური
ბარიერების მოხსნას (სატრანსპორტო
სისტემაში, საცხოვრებელ თუ სამუშაო
ადგილებში). მაგალითისათვის,
როდესაც შებლუდული
შესაძლებლობების მქონე პირებისათვის
არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი
სატრანსპორტო საშუალებები, ეს,
არსებითად, გამორიცხავს მათთვის
შესაფერისი სამუშაოს პოვნას. კომიტეტის
პერსპექტივით, ასეთი პირებისათვის
პაქტის მე-8 მუხლით გარანტირებული
პროფესიული კავშირების შექმნისა და
მათში მონაწილეობის უფლების
ეფექტური რეალიზაცია გულისხმობს
სახელმწიფოს მხრიდან მათთან
ინტენსიურ დიალოგს, ხოლო ამ
გაერთიანებათა სიცოცხლისუნარიანობის
მხარდასაჭერად, შესაძლებელია,
სახელმწიფო მათ ფინანსურადაც
ეხმარებოდეს. ამასთანავე, ეროვნული
პოლიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას
უნდა ამახვილებდეს შებლუდული
შესაძლებლობების მქონე პირებისათვის
უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის
პირობების უზრუნველყოფის საკითხზე.“

კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს მოხუცი ადამიანების შრომის უფლებებზე და სახელმწიფო ვალდებულებაზე, უზრუნველყოს მოხუცების დაცვა მათი ასაკით განპირობებული დისკრიმინაციისაგან.

მსოფლიოს კონსტიტუციები:

პორტუგალიის კონსტიტუციის მე-2 მუხლის გ) ქვეპუნქტი ავალდებულებს სახელმწიფოს:

„უზრუნველყოს ქალთა შრომის სპეციალური დაცვა ორსულობის პერიოდში და მშობიარობის შემდეგ, არასრულწლოვანთა, ასევე განსაკუთრებით მძიმე სამუშაოზე დასაქმებულთა დაცვა დაბინძურებულ, ტოქსიკურ, ჯანმრთელობისათვის მავნე და სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში“;

ბრაზილიის კონსტიტუციის მე-7 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, გაატაროს „კანონით დადგენილი სპეციალური ღონისძიებები ქალთა შრომითი ბაზრის დასაცავად“ (XX პუნქტი) და უზრუნველყოს „დამატებითი ანაზღაურება მძიმე, ჯანმრთელობისათვის საშიში და სახიფათო სამუშაოსთვის, კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“. (XXIII პუნქტი);

პოლონეთის კონსტიტუციის 65-ე მუხლით, „16 წლამდე ბავშვთა მუდმივად დასაქმება აკრძალულია. დასაქმების დასაშვები ფორმა და ხასიათი განისაზღვრება კანონით“;

სომხეთის კონსტიტუციის 57-ე მუხლით „თექვსმეტ წლამდე ბავშვების მუდმივი დასაქმება აკრძალულია. დროებითი დასაქმების წესები და პირობები განისაზღვრება კანონით.“

„მუხლი 30.

6. სახელმწიფო უზრუნველყოფს არანებაყოფლობით უმუშევარი, შრომისუნარო და მარჩენალდაკარგული პირების დაცვას სოციალური მხარდაჭერის სისტემის მექანიზმების გზით. სოციალური დახმარების ოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ღირსეული არსებობისთვის საჭირო, სულ მცირე, მინიმალურ პირობებს.“

საერთაშორისო აქტები:

პაქტის თანახმად, „სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.“ (მე-9 მუხლი).

კომიტეტი განსაზღვრა სოციალური უსაფრთხოების ნორმატიული შინაარსი და განმარტა, რომ შესაძლებელია, სახელმწიფო სხვადასხვა სქემას იყენებდეს, თუმცა სქემათა სისტემის მიღმა არ უნდა დარჩეს შესაბამისი საჭიროებების მქონე ადამიანები. შესაბამისი საჭიროებები გულისხმობს სოციალურ რისკებსა და გაუთვალისწინებელ გარემოებებს. ამ მიმართულებით კომიტეტი გამოყოფს ცხრა ძირითად სფეროს, ესენია: (1) სამედიცინო დახმარება; (2) ავადმყოფობა; (3) ხანდაზმულობა; (4) უმუშევრობა; (5) შრომითი ტრავმები; (6) ოჯახისა და ბავშვის მხარდაჭერა; (7) დეკრეტული შეღავათი; (8) შეზღუდული შესაძლებლობები; (9) მარჩენალის დაკარგვა.

კომიტეტის განმარტებით, სოციალური უსაფრთხოების ფარგლებში მიღებული სარგებელი უნდა იყოს ადეკვატური, ამასთანავე, მნიშვნელოვანია მასზე წვდომის კომპონენტები. ეს უკანასკნელი გულისხმობს შემდეგ შინაარსს: ყოველ პირს უნდა შეეძლოს სოციალური უსაფრთხოების სისტემაზე წვდომა, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ და იზოლირებულ ჯგუფებს (უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი დისკრიმინაცია); დასაშვებობის კრიტერიუმები უნდა იყოს გამჭვირვალე, პროპორციული და გონივრული; იმ

შემთხვევაში, თუ შესაბამისი სქემა მოითხოვს შენატანებს, ამის შესახებ წინასწარი უნდა იყოს ცნობილი, ამასთანავე, მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი უნდა იყოს გონივრული; სქემა ეროვნული კანონმდებლობით უნდა რეგულირდებოდეს, ხოლო ინდივიდებსა თუ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ რელევანტურ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა; მნიშვნელოვანია სერვისებზე ფიზიკური წვდომის უზრუნველყოფა.

მსოფლიოს კონსტიტუციები:

ბრაზილიის კონსტიტუციაში საუბარია უმუშევრობისგან დაცვაზე. მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს „არანებაყოფლობითი უმუშევრობის დროს უმუშევრობისგან დაზღვევა.“

ანალოგიურად, პორტუგალიის კონსტიტუცია ადგენს ადამიანის უფლებას „არანებაყოფლობითი უმუშევრობის დროს მატერიალურ დახმარებაზე“ (59-ე მუხლი). იმავე კონსტიტუციის 63-ე მუხლის თანახმად კი, „სოციალური დაცვის სისტემა იყავს მოქალაქეებს ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის, ქვრივობისა და ობლობის, აგრეთვე უმუშევრობის, საარსებო საშუალებების

შემცირების ან დაკარგვისა და შრომისუნარიანობის დაქვეითების შემთხვევებში;

ესტონეთის კონსტიტუცია აღგენს, რომ „ესტონეთის მოქალაქეს უფლება აქვს, სახელმწიფოსგან მიიღოს დახმარება მოხუცებულობის, შრომისუნარიანობის, მარჩენალის დაკარგვისა და სიღარიბის დროს. დახმარების სახეებსა და ოდენობას, ასევე წინაპირობებსა და პროცედურებს განსაზღვრავს კანონი. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ უფლებებით, ესტონეთის მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები“ (28-ე მუხლი);

ლიტვის კონსტიტუციის 48-ე და 52-ე მუხლების თანახმად, „ყველა ადამიანი აქვს სამსახურისა და საქმიანობის თავისუფლად არჩევის, ასევე შრომის სათანადო, უსაფრთხო და ჯანმრთელი პირობების, შრომის სამართლიანი ანაზღაურებისა და, უმუშევრობის შემთხვევაში, სოციალური უზრუნველყოფის უფლება...“ და „სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეებს ასაკის ან შებლუდული შესაძლებლობების საფუძვლით პენსიის მიღების უფლებით, აგრეთვე სოციალური დაცვით უმუშევრობის, ავადმყოფობის, ქვრივობის, მარჩენალის

დაკარგვისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.“

„მუხლი 33.

7. ყველას აქვს უფლება, შრომითი ინტერესების დაცვის მიზნით შექმნას პროფესიული გაერთიანება და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.

8. კანონმდებლობით უზრუნველყოფილია პროფესიული გაერთიანების დამოუკიდებლობა სახელმწიფოს, პოლიტიკური გაერთიანებისა და დამსაქმებლის გავლენისგან.

9. სახელმწიფო ცნობს და იცავს გაფიცვის უფლებას, რომლის განხორციელების პირობები განისაზღვრება კანონით.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი ეძღვნება პროფესიულ კავშირებსა და გაფიცვის უფლებას:

„1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ:

ა) თითოეული ადამიანის უფლება თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების გასაფრთხილებლად და დასაცავად, შექმნან პროფესიული კავშირები და შევიდეს ასეთ კავშირებში

თავისი არჩევანით და ორგანიზაციის შესაბამისი წესების თანახმად. ამ უფლების გამოყენება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;

ბ) პროფესიული კავშირების უფლება, შექმნან ეროვნული ფედერაციები და კონფედერაციები და ამ უკანასკნელთა უფლება, შექმნან საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები ან შეუერთდნენ მათ;

გ) პროფესიული კავშირების უფლება, იმოქმედონ თავისუფლად, რაიმე შეზღუდვის გარეშე, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;

დ) გაფიცვების უფლება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი განხორციელდება კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად“.

კომიტეტი ხაზს უსვამს პროფესიული კავშირების „ფუნდამენტურ როლს“ შრომის უფლების უზრუნველსაყოფად, როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ დონეზე. კომიტეტის განმარტებით, პროფესიული კავშირები ასევე ეხმარება სახელმწიფოს, შეასრულოს პაქტით ნაკისრი ვალდებულებები.

მსოფლიოს კონსტიტუციები:

გერმანიის კონსტიტუცია განამტკიცებს პროფესიული კავშირების შექმნის უფლებას:

„ყოველი ადამიანისათვის და პროფესიის წარმომადგენლისათვის გარანტირებულია უფლება შრომის და ეკონომიკური პირობების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით შექმნას გაერთიანებები. შეთანხმებები, რომლებიც ზღუდავენ ამ უფლებას ან ართულებენ მის განხორციელებას, ბათილია, ხოლო აღნიშნულის განსახორციელებლად მიმართული ზომები – კანონსაწინააღმდეგო“ (მე-9.3 მუხლი);

არგენტინის კონსტიტუციის მე-14 მუხლში საუბარია პროფესიულ გაერთიანებებზე:

„პროფესიული კავშირებისთვის უზრუნველყოფილია კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების დადების, მომრიგებელი პროცედურებისა და არბიტრაჟისადმი მიმართვისა და

გაფიცვის უფლება. პროფესიული
კავშირების წარმომადგენლები
უზრუნველყოფილნი არიან
გაერთიანების დაავალებების
შესრულებისა და თავისი სამუშაოს
სტაბილურობისთვის აუცილებელი
გარანტიებით“;

ბრაზილიის კონსტიტუციის მე-8 მუხლის
თანახმად:

„პროფესიული გაერთიანებებისა და
პროფკავშირების შექმნა თავისუფალია
შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

I. კანონმა არ შეიძლება, დაანესოს
ნებართვის მიღების აუცილებლობა
პროფკავშირის ჩამოყალიბებისათვის,
თუმცა შესაძლებელია მისი შესაბამის
ორგანოში დარეგისტრირების
ვალდებულების დანესება; სახელმწიფოს
ეკრძალება, ხელი შეუშალოს და
ჩაერიოს პროფკავშირის საქმიანობაში;

II. აკრძალულია ერთზე მეტი
პროფესიული გაერთიანების შექმნა,
რომელიც ნებისმიერ დონეზე, ერთსა და
იმავე ტერიტორიულ ზონაში,
წარმომადგენს ერთსა და იმავე
პროფესიულ ან ეკონომიკურ
კატეგორიებს; ამგვარი ზონა
განისაზღვრება დაინტერესებული
დასაქმებულებისა და დამსაქმებლების
მიერ და არ შეიძლება, ფარავდეს ერთ
მუნიციპალიტეტზე ნაკლებ ტერიტორიას;

III. პროფესიული გაერთიანებები
ვალდებულნი არიან, დაიცვან ამა თუ იმ
კატეგორიის პირთა ინდივიდუალური და
კოლექტიური ინტერესები, მათ შორის
სამართლებრივ და ადმინისტრაციულ
დავებში;

IV. საერთო კრება განსაზღვრავს
საწევრო გადასახადის ოდენობას,
რომელიც გაერთიანების
კონფედერაციული სისტემის
მხარდასაჭერად ამოიღება პროფესიული
კატეგორიის პირთა ანაზღაურებიდან,
მიუხედავად კანონით
გათვალისწინებული შენატანის
ოდენობისა;

V. პროფკავშირებში გაერთიანების
იძულება აკრძალულია;

VI. პროფკავშირების მონაწილეობა
კოლექტიურ შრომით მოლაპარაკებებში
სავალდებულოა;

VII. პენსიაზე მყოფ გაერთიანების
წევრებს აქვთ უფლება, აირჩიონ და
არჩეულ იქნენ ხელმძღვანელ
თანამდებობებზე;

VIII. კავშირში გაერთიანებული
დასაქმებულის დათხოვნა აკრძალულია
კავშირის წარმომადგენლის ან
დირექტორის თანამდებობაზე მისი
კანდიდატურის დაყენების მომენტიდან;
თუ იგი არჩეული იქნება თუნდაც
მოადგილის თანამდებობაზე, ამ პირის
დათხოვნა შეუძლებელია მისი
უფლებამოსილების ვადის გასვლიდან

ერთი წლის განმავლობაში, თუკი იგი არ ჩაიდენს კანონით გათვალისწინებულ სერიოზულ დარღვევას.

განსაკუთრებული პარაგრაფი:

ამ მუხლის დებულებები გამოიყენება სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სფეროში დასაქმებულ პირთა პროფესიულ გაერთიანებებთან მიმართებით, კანონით დადგენილი პირობების გათვალისწინებით“;

ბრაზილიის კონსტიტუციის მე-9 მუხლი კი ეხება გაფიცვას:

„გაფიცვის უფლება გარანტირებულია; მშრომელები თვითონ განსაზღვრავენ ამ უფლების განხორციელების საფუძველსა და იმ ინტერესებს, რომელთა დასაცავადაც გამოიყენება ეს უფლება“;

ლატვიის კონსტიტუციის 50-ე მუხლის თანახმად,

„პროფესიული კავშირები იქმნება თავისუფლად და მოქმედებენ დამოუკიდებლად. ისინი იცავენ დასაქმებულთა პროფესიულ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსა და ინტერესებს.

ყველა პროფესიულ გაერთიანებას აქვს თანაბარი უფლებები.“

51-მუხლი კი აღგვს, რომ:

„დასაქმებულებს თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის ღროს აქვთ გაფიცვის უფლება.

ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვები, პირობები და წესი დგინდება კანონით“;

დიდ ადგილს უთმობს პროფესიული გაერთიანებებისა და გაფიცვის საკითხს პორტუგალიის კონსტიტუცია:

„მუხლი 55. პროფესიული კავშირების თავისუფლება:

1. აღიარებულია მუშაკთა პროფკავშირული საქმიანობის თავისუფლება, როგორც საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მათი ერთიანობის პირობა და გარანტია.

2. პროფკავშირული საქმიანობის თავისუფლების განხორციელებისას მომუშავეებს გარანტირებული აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე:

ა) ყველა დონეზე პროფკავშირული გაერთიანებების შექმნის თავისუფლება;

ბ) პროფკავშირებში გაერთიანების თავისუფლება; ამასთან, არ შეიძლება ვინმეს იძულება, გადაუხადოს სანევრო გადასახადი პროფკავშირს, რომლის წევრადაც ის არ ითვლება;

გ) პროფკავშირული გაერთიანებების ორგანიზაციისა და შინაგანი რეგლამენტაციის თავისუფლება;

დ) პროფკავშირული საქმიანობის განხორციელება სანარმოში;

ე) წესდებით გათვალისწინებული ფორმით, პროფკავშირებში მიმდინარეობების შექმნის უფლება.

3. პროფკავშირული გაერთიანებები უნდა ხელმძღვანელობდნენ ორგანიზაციისა და მართვის დემოკრატიული პრინციპებით, რაც დაფუძნებულია ხელმძღვანელი ორგანოების პერიოდულ და ფარულ არჩევნებზე, რომელიმე ხელისუფლების ორგანოს თანხმობის ან სასამართლოს მიერ არჩევნების შედეგების დადასტურების გარეშე, პროფკავშირული საქმიანობის ყველა მიმართულებაში დასაქმებულთა აქტიური მონაწილეობით.

4. პროფკავშირული გაერთიანებები დამოუკიდებელი არიან სახელმწიფოსგან, რელიგიური ორგანიზაციებისაგან, პარტიებისა და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან, ამასთან, კანონით დადგენილია ამ დამოუკიდებლობის შესაბამისი გარანტიები, რაც მომუშავეთა ერთიანობის საფუძველია.

5. პროფკავშირულ გაერთიანებებს უფლება აქვთ, ურთიერთობა ჰქონდეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან გაერთიანდნენ მათში.

6. მშრომელთა არჩევითი წარმომადგენლობები სარგებლობენ

ინფორმაციისა და კონსულტაციების მიღების, ასევე რაიმე ფორმით სპეციალური პირობების, წინააღმდეგობების ან შეზღუდვების დანესებისგან თავიანთი ფუნქციების კანონიერი შესრულებისას კანონის მხრიდან ადეკვატური დაცვის უფლებით. “

„მუხლი 56. პროფესიული კავშირების უფლებები და კოლექტიური თანხმობა

1. პროფკავშირულმა გაერთიანებებმა უნდა დაიცვან და წახალისონ მშრომელთა უფლებები და ინტერესები, რომელთაც ისინი წარმოადგენენ.

2. პროფკავშირულ გაერთიანებებს უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ შრომითი კანონმდებლობის შემუშავებაში;

ბ) მონაწილეობა მიიღონ სოციალური დაზღვევისა და სხვა ორგანიზაციების მართვაში, რომელთა მიზანია დასაქმებულთა ინტერესების დაკმაყოფილება;

გ) გამოთქვან აზრი სოციალურ-ეკონომიკურ გეგმებზე და მიიღონ მათი შესრულების გაკონტროლებაში მონაწილეობა;

დ) კანონის თანახმად განახორციელონ წარმომადგენლობა სოციალური პარტნიორობის ორგანოებში;

ე) მიიღონ მონაწილეობა დანესებულებების რეორგანიზაციაში,

განსაკუთრებით განათლების საკითხებსა და იმ შემთხვევებში, როდესაც იცვლება შრომის პირობები.

4. ლოკალური აკრძალულია.“

3. პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ კოლექტიური შეთანხმებების დადების უფლება, რაც გარანტირებულია კანონით.

4. კანონი ადგენს წესებს, რომლებიც განსაზღვრავს დადებული შრომითი შეთანხმებების კანონიერებას, ასევე მათ პრაქტიკაში განხორციელებას.“

„მუხლი 57. გაფიცვის უფლება და ლოკალური აკრძალვა

1. გაფიცვის უფლება გარანტირებულია.

2. მშრომლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ საკუთარი ინტერესების სფერო, რომელიც დასული იქნება გაფიცვებით; ამასთან, კანონით არ შეიძლება შეიზღუდოს ეს სფერო.

3. კანონი განსაზღვრავს: პირობებს გაფიცვის დროს, რაც აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ხელსაწყოებისა და იარაღის დასაცავად; ასევე მინიმალური მომსახურების მიღებას, რაც აუცილებელია გადაუდებელი სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.